ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი




პარასკევი, 6 სექტემბერი, 2013 | №211 (6212) | ფასი: 30 თეთრი

# ვინ ინახავს სკანდალური ჩანაწერების ასლებს






გვ.5

## კახი კახიშვილი: „კადრების განადგურებაზე მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა!“

## „73 ათასზე მეტი ოჯახი გამოსახლებას ელოდება“ გვ.2

### კახა კუკავა: „საქართველოს პლასტელინის პრეზიდენტი არ სჭირდება“

ივანიშვილის შემცვლელი კვირიკაშვილი იქნება თუ ღობეგლეჯიაშვილი, ქვეყნის მართვა არ შეეძლება

გვ.4



### ფიქრია ჩიხრაძე: „ივანიშვილს ქვეყნის მართვაზე ეგზოტიკური შეხედულებები აქვს“ გვ.4



### გიორგი თარგამაძე: „ივანიშვილი ხალხზე ექსპერიმენტებს ატარებს“ გვ.2





### ირაკლი ღარიბაშვილი: „რეიდებად მონათლული ღონისძიებები სინამდვილეში გამკაცრებული პრევენციული ქმედებები იყო“

გვ. 3



### კბილაშვილი მერაბიშვილის ადვოკატებს პასუხობს

გვ. 3



### „პროკურატურა დამოუკიდებელი არ არის“

გვ. 6

### ცესკომ ივანიშვილს უსაყვედურა გვ.2

ცესკო

ISSN 1987-9385

4 ტაქსის მძღოლებს ინგლისურს უფასოდ შეასწავლიან

2 შსს–მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

7 „ლაშა პაპაშვილი მთავარი პროკურატურისთვის ხელშეუხებელი პერსონაა“?!

2 სალომე ზურაბიშვილი: „ამომრჩევლისათვის გადამწყვეტი წონა სამთაგან არც ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს არ აქვს“

# გიორგი თარგამაძე: „ივანიშვილი ხალხზე ექსპერიმენტებს ატარებს“

თამარ ნინიძე



ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე გიორგი თარგამაძემ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობის რეაბილიტაციის მცდელობაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ივანიშვილი არ დგამს იმ ნაბიჯებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებას, სოციალური ფონის დამშვიდებას და მეტიც, თარგამაძის აზრით, ივანიშვილი შეურაცხყოფს ქართველებს, როცა აცხადებს, რომ ქვეყანაში დაბალი პოლიტიკური კულტურაა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე თარგამაძემ აღნიშნა, რომ სააკაშვილმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, ივანიშვილი ცდილობს ხალხზე ექსპერიმენტების ჩატარებას. ის ჩრდილოვან სამთავრობო სხდომებს მართავს თავის რეზიდენციაში და ჩრდილიდან ცდილობს ქვეყნის მართვას.

„ივანიშვილის მთავრობა და პარლამენტი შეხმატკბილებულად თანამშრომლობს ნაცმოძრაობასთან და არის მცდელობა ნაცმოძრაობის გათეთრებისა. რაც დრო გადის, ამაში სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით. მოქმედი ხელისუფლება არანაირ ინტერესს არ იჩენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობის მიმართ, გულგრილია ასევე კონფლიქტის ზონის მიმდებარე ქართულ სოფლებში მცხოვრები ადამიანების მიმართაც. ხშირად დავდივარ ამ სოფლებში და მაქვს ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც აფხაზეთიდან გვეხმიანებიან და გვთხოვენ ბევრი პრობლემური საკითხის მოგვარებას, რომელიც, საჯაროდ გახმაურების შემთხვევაში, დიდი რისკის ქვეშ აყენებს ამ მოსახლეობას“, – აცხადებს გიორგი თარგამაძე.

თარგამაძის თქმით, თავის პრესკონფერენციაზე ივანიშვილს მთელი სამი საათის განმავლობაში არც ერთი სიტყვა არ უთქვამს იმ ადამიანების პრობლემებზე, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და დამპყრობლების ჩაგვრის ქვეშ გმინავენ. ხელისუფლება ამ ადამიანებს ეუბნება, ნუ ინერვიულებთ ამ მავთულხლართებზე, სამაგიეროდ, ისეთ რამეს გაგიკეთებთ, რომ თქვენს ბედს საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი შენატროდესო. სიმწრით მოყვანილი მოსავალი ამ ადამიანებს სეტყვამ გაუნადგურა, არც ერთი სახელმწიფო მოხელე არ ჩასულა ამ სოფლებში და დახმარება არ გაუწევია მათთვის.

ჟურნალისტებს აფხაზეთსა და ოკუპირებულ რეგიონებზე კითხვები არ დაუსვამთ პრემიერისთვის, მაგრამ მას საკმაო დრო ჰქონდა, შესავალ სიტყვაში მაინც ეხსენებინა ამ ადამიანების პრობლემები. თავის წერილშიც არაფერი უთქვამს ამ რეგიონებზე და არ უცდია, გაემხნევებინა ეს ადამიანები. თარგამაძეს მიაჩნია, რომ ქვეყანას ჰყავს პრემიერი და ხელისუფლება, რომლებსაც არ ანაღვლებთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ქართველების ბედი, გულგრილია ამ ადამიანების სოციალური პრობლემების მიმართ.

„პრემიერმა არ გამორიცხა საქართველოს გაწევრიანება ევრაზიულ კავშირში. ორ რამეს მინდა გავუსვა ხაზი. პირველი, ეს ხდება იმის პარალელურად, რაც ორი დღით ადრე სახელმწიფომ, რომლის საგარეო პოლიტიკით მოხიბლული იყო ივანიშვილი და მას სამაგალითოდ მიიჩნევდა, ოფიციალურად განაცხადა თანხმობა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე, რითიც ზურგი აქცია ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას. ამას ევროკავშირის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. ამის პარალელურად, თბილისში მთავარი პოლიტიკური სტატუსის მქონე ადამიანის მიერ არის განცხადება, მართალია, რბილი, მაგრამ მაინც ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების თემის ლეგალიზების მცდელობის თაობაზე. მაშინ იყო ახსნა-განმარტებები სომხეთის თემაზე, რომ პრემიერი არ იყო გარკვეული სომხეთის საგარეო პოლიტიკის თაობაზე, როცა ამის შემდეგ ისევ ასეთ განცხადებებს ვაკეთებთ, ეს არ არის შემთხვევითობა“, – აცხადებს გიორგი თარგამაძე.

ქრისტიან-დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ საგარეო უწყებას მოუწევს ნათელი განმარტებების გაკეთება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის შესახებ. ვართ თუ არა ერთგული ქართველი ხალხის მიერ რეფერენდუმზე გაცხადებული ნებისა და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი არის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება.

ქრისტიან-დემოკრატები აგრძელებენ ხელმოწერების შეგროვებას მთელი საქართველოს მასშტაბით ორ საკითხზე, ერთსქესიანი ქორწინებების წინააღმდეგ და ტრადიციული ოჯახის მხარდაჭერაზე, მეორე საარსებო მინიმუმის დასადგენად.

ჟურნალისტის კითხვაზე, რას ფიქრობს ცნობილი ვიდეოკადრების განადგურების თაობაზე, თარგამაძემ განაცხადა, რომ რაც მალე განადგურდება, უკეთესია, მაგრამ ეჭვობს, რომ მისი ასლები სადღაც მაინც იქნება გადატანილი და, შესაძლოა, ოდესმე ამოტივტივდეს. თარგამაძემ თქვა, რომ, როგორც ამ საქმეში გამოცდილ ადამიანს, კახი კახიშვილს ენდობა და სრულად მხარს უჭერს მის მოსაზრებას, რომ სანამ არ მოხდება იმ ადამიანების სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვისაც დანაშაული მიუძღვის ადამიანების წამებასა და სასტიკ მოპყრობაში, მანამ ეს კადრები არ უნდა განადგურდეს. ამ საქმეების გამოძიება დროულად უნდა დაწყებულიყო და მტკიცებულების სახით სასამართლოზე წარდგენილიყო.

# „73 ათასზე მეტი ოჯახი გამოსახლებას ელოდება“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა და აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საცხოვრებლისა და პირადი ქონების გარეშე 172 293 ოჯახი დარჩა.

პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, დღეისათვის აღსრულების ეროვნული ბიუროს „მოვალეთა რეესტრში“ 73 ათასზე მეტი ოჯახი ირიცხება, რომლებიც ქონების დაკარგვას და გამოსახლებას ელოდებიან.

„ამ საგანგაშო ციფრების ფონზე წარმოუდგენელია, რომ საქართველოს პარლამენტმა სათანადო კანონპროექტის განხილვა შეაჩერა. ჩვენი მოქალაქეების აღნიშნული მდგომარეობა არ არის მხოლოდ მათი არასწორი ქმედებების შედეგი, უმრავლეს შემთხვევაში, ამ ადამიანების მდგომარეობა, სწორედ წლების მანძილზე გატარებული არასწორი სახელმწიფო პოლიტიკითაა განპირობებული. მიუხედავად არაერთი თვითმკვლელობისა, არც საქართველოს პარლამენტმა გააგრძელა სათანადო კანონპროექტის განხილვა და არც საქართველოს მთავრობამ გააკეთა რამე 11 თვის განმავლობაში, ამ პრობლემის მოსაგვარებლად თუ არა, გადასავადებლად მაინც. ბანკები კი გაცემული კრედიტების სანაცვლოდ მოსახლეობისათვის ქონების ჩამორთმევას და ქუჩაში გამოსახლებას დღესაც აგრძელებენ. საპროცენტო განაკვეთები ისევ წარმოუდგენლად მაღალია! საქართველოს მთავრობა, ეროვნული ბანკი და ბანკების ასოციაცია კი, ამ პროცესებს შორიდან აკვირდებიან. ჩვენ გვითხრეს, რომ საბანკო სექტორი ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ძალიან კარგად ვიცით თუმცა არა იმდენად, რომ ზოგიერთი ბანკის მაღალჩინოსანი და გენერალური დირექტორი წელიწადში, ადამიანების უბედურებისგან 4 მილიონზე მეტ შემოსავალს იღებდეს.

ცივილიზებულ ევროპულ სახელმწიფოებში, იქ სადაც სახელმწიფო თავის მოსახლეობაზე ზრუნავს და მათი პრობლემები აწუხებს, მაგალითად ესპანეთში, მხოლოდ ერთი თვითმკვლელობის ფაქტის გამო, როდესაც ესპანელმა ქალბატონმა გამოსახლების დროს თავი მოიკლა, ესპანეთის ბანკებმა საგანგებოდ იმსჯელეს და ბანკების ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ესპანეთის ყველა ბანკმა გამოსახლებების პროცესი 2 წლით გააჩერა და მევალეებს დავალიანების გადახდა ამავე ვადით გადაუვადა.

რომელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე შეიძლება ქვეყანაში იყოს საუბარი, როდესაც 2010 წლიდან დღემდე, საქართველოს მოქალაქეების დაახლოებით 15% ბანკების შავ სიაში ირიცხება და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ვერც ერთ ბანკში მთელი ცხოვრების მანძილზე ვერანაირ კრედიტს ვერ მიიღებენ.

ჩვენ არ ვთვლით, რომ სახელმწიფომ საკუთარ მოქალაქეებს პირადი ვალები უნდა გაუსტუმროს, ამას არც ეს ადამიანები ითხოვენ, ისინი ითხოვენ ვალების გადავადებას და პროცენტის დაწევას. ისინი ვალების ჩამოწერასა და პატიებას არ ითხოვენ.

შექმნილი მდგომარეობიდან ნამდვილად არსებობს გამოსავალი. არსებობს რამდენიმე სქემა და ეს ჩემს საპრეზიდენტო პროგრამაშიცაა ასახული. ჩვენ ვთვლით, რომ აუცილებლად უნდა იქნას მიღებული კომპრომისული და პრაგმატული გადაწყვეტილება, რომელიც ერთის მხრივ არ ჩამოშლის საბანკო სისტემას და მეორეს მხრივ, ამ ადამიანებს მისცემს საშუალებას შეინარჩუნონ საკუთარი საცხოვრებელი და თან დაგროვილი ვალის გადახდა მოახერხონ.

მე შევპირდი დაზარალებულ ადამიანებს, რომ მათ პრობლემას გავახმოვანებდი და ხმას მთავრობამდე მივაწვდენდი. მე არ ვიცი გაიგონებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ამ განცხადებას, მაგრამ როგორც დავპირდი მოსახლეობას, ახლაც საჯაროდ ვიმეორებ: – ჩემს საპრეზიდენტო პროგრამაში ეს საკითხი აუცილებლად იქნება ასახული და პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულების დაწყებისთანავე, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დღეს უსახლკაროდ არის დარჩენილი, კიდევ ახალი უსახლკაროები, სოციალურად დაუცველები და გაუბედურებული ადამიანები არ შეემატონ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

# სალომე ზურაბიშვილი: „ამომრჩევლისათვის გადამწყვეტი წონა სამთაგან არც ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს არ აქვს“

სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატთაგან არცერთს არ აქვს წონა, რომელიც ამომრჩევლისთვის გადამწყვეტი იქნებოდა. მან ამის შესახებ გაზეთ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ზურაბიშვილმა გიორგი მარგველაშვილის, დავით ბაქრაძისა და ნინო ბურჯანაძის კანდიდატურები შეაფასა. მისი თქმით, გასაკვირია, როცა ამბობენ, რომ მარგველაშვილს ხალხი უნდა ენდოს, რადგან მას ბიძინა ივანიშვილი ენდობა. ასეთი რამ დასავლეთში კანდიდატის შეფასების კრიტერიუმი არ არის.

„დასავლეთში კანდიდატს თავისი პრინციპებითა და იდეების მიხედვით აფასებენ. ეს არის არჩევის კრიტერიუმი. ჩვენთან კი როცა მარგველაშვილზე მსჯელობენ, მისი პრინციპებისა და იდეების შესახებ არაფერი ვიცით. დავით ბაქრაძე ფასადური კანდიდატია იმ პოლიტიკური ძალისა, რომელსაც პოლიტიკაში თავისი მცირე ადგილის შენარჩუნება უნდა. ის არა პრეზიდენტობისათვის, არამედ ბოდიშებით მოდის. ამბობს, რომ არაფერი გაუკეთებია და პასუხისმგებელი არაფერზეა. მას თურმე მხოლოდ საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანაზე ჰქონია პასუხისმგებლობა. მაგრამ ის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო და საამისოდ სათანადო პოლიტიკური კომპეტენცია არ ჰქონდა. ამიტომ მისი ეს განცხადება სასაცილოა. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, ის სუფთა პოპულისტური, დემაგოგიური თემებით შემოდის. სამი კანდიდატიდან არცერთს არ აქვს ის წონა, რომელიც ამომრჩევლისათვის გადამწყვეტი იქნებოდა“, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.



მას მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი კანდიდატურის არყოფნის პირობებში ძალიან ბევრი ადამიანი სახლში დარჩება. ეს კი არჩევნებისათვის ძალიან ცუდი იქნება.

მედიანიუსი

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ბათუმში, 1993 წელს დაბადებული ბადრი ქ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბადრი ქ., მემედ აბაშიძის და ზვიად გამსახურდიას ქუჩების კვეთაზე დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას რევოლვერის ტიპის ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და 3 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიება, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, სსკ-236 მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე ენ-დი-აი-ს წინასაარჩევნო სადამკვირვებლო დელეგაციას შეხვდა

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ სათაო ოფისში, დღეს, პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, ენ-დი-აის გრძელვადიან დამკვირვებლებს შეხვდა. შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ და დელეგაციის წევრებმა წინასაარჩევნო გარემო მიმოიხილეს.

პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, ქვეყანაში არსებული საარჩევნო გარემო, სამწუხაროდ, იდეალურისგან ისევ ძალიან შორსაა.

მანვე აღნიშნა, რომ შიში, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იყო ქვეყანაში გამეფებული, 1 ოქტომბრის შემდეგ უდაოდ მოიხსნა და ეს დასაფასებელია, თუმცა საკანონმდებლო დონეზე, პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა.

„ისევ რჩება სიების პრობლემა, რომლებიც უზომოდაა გაბერილი წინა ხელისუფლების მიერ და რეალობას არ შეესაბამება“ – აღნიშნა ბურჯანაძემ.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუმრებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ ვერ მოხერხდა „დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომლის საფუძველზეც, საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატის მიერ ათი და მეტი პროცენტის მიღება, წარმდგენ პოლიტიკურ პარტიას კვალიფიციური პარტიის სტატუსს მიანიჭებდა.



„საარჩევნო გარემოში უსერიოზულესი ხარვეზები რჩება. მათ შორისაა იგივე ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და ძალიან ბევრი სხვა საკითხი, რომელიც უდაოდ ძალიან სერიოზულ ჩრდილს მიაყენებს არჩევნების სამართლიანობასა და კონკურენტუნარიან გარემოს“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „რეიდებად მონათლული ღონისძიებები სინამდვილეში გამკაცრებული პრევენციული ქმედებები იყო“

ნათია ხურცილავა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება ე.წ. რეიდებთან დაკავშირებით. მინისტრმა მოქალაქეებს ბოდიში მოუხადა რეიდების გამო და იქვე მადლიერებაც გამოთქვა თანამშრომლობისთვის.

— ყოველ დღე ვკითხულობდი გამოხმაურებას. რა თქმა უნდა, იყო უკმაყოფილება და ასევე იყო კმაყოფილებაც. ამ ტიპის პრევენციული ღონისძიებები ყოველთვის შეიძლება გატარდეს. რა თქმა უნდა, მსგავსი მოქმედება ყოველთვის საჭიროებს განმარტებებსა და საზოგადოებასთან კომუნიკაციას. — აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

როგორც ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არ იყო კლასიკური გაგებით რეიდი. შინაგან საქმეთა მინისტრი საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს პასუხობს:

— მე ვიცი, რომ საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები ე.წ. რეიდებთან დაკავშირებით, მე მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ეს რეიდები არ ყოფილა რეიდები, ეს იყო ერთკვირიანი გამკაცრებული პრევენციული ღონისძიებები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ორჯერ გავაკეთეთ განმარტება, ერთი გუშინ და ერთი დაახლოებით ერთი კვირის წინ. კიდევ ერთხელ მინდა აბსოლუტურად გულწრფელად ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას შექმნილი უხერხულობისთვის, მაგრამ აქვე მინდა დავამატო, რომ ჩვენ მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები ემსახურებოდა ისეთი მძიმე დანაშაულების გამოვლენას და აღკვეთას, როგორიც არის დიდი რაოდენობით ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, ნარკოტიკული საშუალებების გამოვლენა და სხვ. — განაცხადა მინისტრმა.

მინისტრი საზოგადოების იმ მოსაზრებას ეთანხმება, რომლის თანახმადაც მსგავსი ქმედება განმარტებებს საჭიროებს თავად მინისტრისგან.

— ამ ტიპის პრევენციული ღონისძიებები ყოველთვის შეიძლება გატარდეს. რაც, რა თქმა უნდა, საჭიროებს განმარტებას და კომუნიკაციას საზოგადოებასთან. — ამბობს ღარიბაშვილი.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის ეკა გიგაურის განცხადებით მისაღებია ბოდიში, თუმცა განმარტებები უნდა გაკეთდეს და პოლიციამ კანონი მთელი სიმკაცრით უნდა დაიცვას.

— რა თქმა უნდა, გასაგებია შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია, რომ მათ უნდათ გარკვეული პრევენციული ღონისძიებები განახორციელონ, რა თქმა უნდა, ეს პოზიცია იმსახურებს იმას, რომ საზოგადოებრივი წესრიგი იყოს უზრუნველყოფილი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის თითოეულმა თანამშრომელმა შეასრულოს და დაიცვას კანონი. როდესაც პოლიციელი აჩერებს ადამიანს, მან უნდა წარუდგინოს თავი მოქალაქეს. აუცილებელია აუხსნას მიზეზი, თუ რატომ გააჩერა. პოლიციის თანამშრომელმა მოქალაქეების მიმართ არ უნდა გამოიყენოს აგრესიული მიდგომა. ძალიან ხშირი იყოს ასეთი შემთხვევები და ეს არ არის სწორი. ჩვენ მოვისმინეთ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება და მან მოუბოდიშა ქართველ საზოგადოებას იმის გამო, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, ერთი მხრივ კარგია პრევენცია, თუმცა, ყველამ უნდა იმოქმედოს კანონის შესაბამისად და მაქსიმალურად ისე უნდა გავაკეთოთ, რომ საზოგადოებრივი წესრიგიც უზრუნველვყოთ, მაგრამ საზოგადოებას დისკომფორტი არ შევუქმნათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი წესრიგი იყოს უზრუნველყოფილი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ეს ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდეს. — ამბობს ეკა გიგაური.

# კბილაშვილი მერაბიშვილის ადვოკატებს პასუხობს

ნათია ხურცილავა



არჩილ კბილაშვილი ვანო მერაბიშვილის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვას პასუხობს. კბილაშვილი, პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის ადვოკატების იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების (პატიმრობის) განჩინება, არაუფლებამოსილმა მოსამართლემ გამოიტანა.

როგორც კბილაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ის არ ფლობს ინფორმაციას ხსენებულ მოსამართლესა და მის უფლებამოსილებებზე, ხოლო რაც შეეხება ყოფილი პრემიერ-მინისტრის საქმის ქუთაისის სასამართლოში განხილვას, მთავარი პროკურორის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ კანონდარღვევა აღნიშნულ ქალაქში განხორციელდა, შესაბამისად, მერაბიშვილს ბრალდებაც ქუთაისში წარუდგინეს.

— ჩვენ ადრეც არაერთხელ განგვიმარტავს, რომ გამოძიება, დასაქმების პროგრამის დროს, სახელმწიფო რესურსის უკანონო გამოყენებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა. ამ გამოძიებას დასავლეთის პროკურატურა აწარმოებდა. მან აწარმოა აბსოლუტურად მთლიანი გამოძიება და როდესაც პროცესი დაასრულა, ბუნებრივია მანვე მისცა პასუხისგებაში ეს ადამიანი და შესაბამისად, ბრალდება წარდგენილ იქნა და აღმკვეთი ღონისძიების საკითხიც განხილულ იქნა ქუთაისში. აი, ეს იყო მიზეზი პროცესის ქუთაისში განხილვისა, ამიტომ მსგავს მოსაზრებებს, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებთ. ნებისმიერს შეუძლია ნახოს საქმის მასალები, ადვოკატებს მით უმეტეს და აღმოაჩენენ, რომ გამოძიება დეკემბერში სწორედ ქუთაისში დაიწყო. — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

# ვინ ინახავს სკანდალური ჩანაწერების ასლებს

## მოდულის შენობაში ფარული ჩანაწერები საჯაროდ გაანადგურეს

ნათია ხურცილავა

ე.წ. მოდულის შენობაში გუშინ პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალების ამსახველი ვიდეომასალა განადგურდა. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ კომისიის წევრებმა საზოგადოებას მიულოცეს. კომისიის ერთ-ერთი წევრის, ლაშა ტუღუშის განცხადებით მსგავსი რამ ბევრ ქვეყანაში არ მომხდარა შესაბამისად აღნიშნული საქმე ასე მარტივად არ უნდა დასრულდეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, კომისიის წევრებისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა იურისტ კახი კახიშვილს. კახიშვილი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული მასალები არ უნდა განადგურებულიყო. ამის მიზეზად ის საგამოძიებო მოქმედებების დაწყებას და დამკვეთებისა და შემსრულებლების სამაგალითო დასჯას ითხოვდა.



მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცახდებით, ის მხარს უჭერს კახი კახიშვილის პოზიციას, თუმცა ამ შემთხვევაში მან, როგორც განგვიმარტა, პრიორიტეტი ადამიანის უზენაესი უფლების — პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას მიანიჭა.

დისკების განადგურების პროცესს კომისიის თავმჯდომარე შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, კომისიის წევრები: იუსტიციის მინისტრი — თეა წულუკიანი, მთავარი პროკურორი — არჩილ კბილაშვილი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი — თამარ ქალდანი, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი — ლაშა ტუღუში, „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი — კახაბერ კახიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი — ეკა გიგაური, სამუშაო ჯგუფის წევრები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროცესს არ დასწრებია სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, რომელიც, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განმარტა, ომბუდსმენი მასალების განადგურებას ემხრობა, თუმცა მისი მოუსვლელობის მიზეზი ქვეყნის გარეთ ყოფნაა და არა პროტესტი.

2 სექტემბერს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა „უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელიც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მუშაობას გააგრძელებს.

როგორც ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, 3 სექტემბერს მოდულის შენობაში შედგა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, სადაც არსებული 110 დისკიდან შერჩევითი პრინციპით მოხდა რამდენიმეს (სამის) ამორჩევა. ადგილზევე მოხდა მათი დამუშავება იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, რის შემდეგაც ჯგუფის წევრები გაეცნენ ამ დისკებზე არსებულ ჩანაწერებს. დაადასტურეს, რომ ისინი ნამდვილად შეიცავენ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას. შედგა შესაბამისი ოქმი, ზემოთ აღნიშნული სამივე დისკი კი განადგურდა. დანარჩენი დისკები ისევ მოთავსდა კონტეინერში, დაილუქა და გამზადდა საჯარო განადგურებისათვის.

ფარული ჩანაწერების ამსახველი დისკების განადგურება, როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. „მოდულის“ შენობაში გამანადგურებელი აპარატის „შრედერის“ საშუალებით მოხდა.

— კომისიამ დაასრულა მუშაობა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განადგურებასთან დაკავშირებით. მე მინდა მოკლე შესავალი გავაკეთო, რაზე მუშაობდა კომისია ამ ხნის განმავლობაში. თვეების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღმოაჩინა რამდენიმე ათასი უკანონოდ მოპოვებული აუდიო და ვიდეომასალა, ჯამში, ამან შეადგინა 26 ათასი. კომისიამ იმსჯელა და აქედან ჩვენ გამოვყავით პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიო მასალა ჯამში, 144 ფაილი. კომისიამ იმსჯელა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოო ჯამში, კომისიის წევრთა უმრავლესობამ, ასევე, მთავარმა პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ განადგურდეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა. ჩვენ ასევე კონსულტაცია გავიარეთ ჩვენს უცხოელ ექსპერტებთან, მათ შორის ბატონ თომას ჰამერბერგთან, ჩვენ გავიზიარეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება და მივიღეთ მათგან რეკომენდაცია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები უნდა განადგურდეს. — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მასალის განადგურების დაწყებამდე.

მინისტრის განცხადებით, ექსპერტებისა და მოსახლეობის ნაწილის მოსაზრება იყო, რომ ეს არ უნდა განადგურებულიყო. თუმცა, ღარიბაშვილის განცხადებით, დანარჩენი 25 ათასი ფაილი არ ნადგურდება და მათი დახარისხება მიმდინარეობს და მათთან დაკავშირებით კომისია გააგრძელებს მსჯელობას და შეფასებას, თუ რა იყო ეს და რასთან გვქონდა საქმე.

ღარიბაშვილი აცხადებს, რომ უნდა მოხდეს მკაცრი შეფასება იმისა, რაც უკანონოდ ხდებოდა წლების განმავლობაში, შემდეგ კი დაიწყოს გამოძიება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სულ აღმოჩენილია 26 ათასამდე უკანონო ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერი, საიდანაც 140-ზე მეტი ეხება ადამიანთა პირად ცხოვრებას და სწორედ მისი განადგურების გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

110 დისკზე არსებული პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონოდ მოპოვებული 144 ჩანაწერი ე.წ. მოდულის შენობაში მედიის თანდასწრებით სპეციალურ კონტეინერიდან სათითაოდ მედიისა და კომისიის წევრების თანდასწრებით განადგურდა.

განადგურების პროცესში ერთ-ერთმა გაფუჭებულმა დისკმა აპარატი მწყობრიდან გამოიყვანა, თუმცა „მოდულის“ შენობაში კიდევ ორი სათადარიგო აპარატი აღმოჩნდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ წინა ხელისუფლების დროს პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეო ჩანაწერების კოპირება მოხდა.

— სამწუხაროდ, ჩვენი ინფორმაციით, მასალების უმრავლესობა კოპირებულია. არსებობს დიდი ალბათობა, რომ იმ მასალის ასლები, რომელიც შსს-ს არქივში დაგვხვდა და რომელიც მოვიპოვეთ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ჰქონდეთ. — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ჩვენს კითხვაზე — რას ითვალისწინებს სასჯელის გამკაცრება, იუსტიციის მინისტრმა განმარტება გააკეთა.

— კომისიის წინა სხდომაზე ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ ამ მუხლებიდან მოხდეს დანაშაულის შემადგენლობის დაზუსტება და არ მოხდეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის უკანონოდ გამოყენება. არსებობს მოსაზრება, რომ ეს შეეხოს არა მხოლოდ მოქმედი თანამდებობის პირებს, არამედ ყოფილი თანამდებობის პირებსაც. ვვარაუდობთ, ჯარიმა საერთოდ ამოვიღოთ ამ მუხლებიდან და ახლა ვმუშაობთ საპატიმრო წლების რაოდენობაზე. მიგვაჩნია, რომ 1, 2 და 3 წელი ამ ტიპის დანაშაულისთვის საკმარისი არ იქნება. ჯარიმა უადგილო და სასაცილოც კი გვეჩვენება. — აღნიშნა წულუკიანმა.

კომისიის წევრების ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა დაახლოებით 181 საათისა და 30 წუთის ხანგრძლივობისაა. დისკების განადგურების შემდეგ სპეციალური ოქმი შედგა, რომელსაც კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, აღნიშნულ დისკებზე მოთავსებულია 2007 წლიდან 2012 წლის ივლისამდე პერიოდში მოპოვებული უკანონო ჩანაწერები.

სულ აღმოჩენილია 26 ათასამდე უკანონო ჩანაწერი, რომელთაგან შს მინისტრის ცნობით, 144 ფაილი პირად ცხოვრებას ასახავს. ამასთან, 26 ათას ფაილში სამეგრელოში, სამალავებში აღმოჩენილი აუდიო და ვიდეო მასალები არ შედის.

შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შსს-ს მიერ თვეების განმავლობაში მოპოვებული მასალა დახარისხდა და დანარჩენ მასალასთან დაკავშირებით კომისია ანალიზს გააგრძელებს.

— მოსახლეობის დიდი ნაწილი გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ არ განადგურებულიყო მასალა, მე განვმარტავ, რომ ჩვენ ყველა მოპოვებულ მასალას არ ვანადგურებთ, რომელიც თვეების განმავლობაში დავაგროვეთ, ჩვენ ვახარისხებთ ფაილებს კატეგორიების მიხედვით, ჩვენ გამოვყავით ხსენებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა, დანარჩენ მასალასთან დაკავშირებით კომისია ანალიზს გააგრძელებს. სწორედ უნდა მოხდეს შეფასება იმისა, თუ რასთან გვქონდა საქმე. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა ჩაწერა, მიყურადება, ამიტომ უნდა მოხდეს ამ მრავალწლიანი ნეგატიური მასალის შეფასება, მკაცრი შეფასება უნდა მოხდეს კომისიის მთავრობის და საზოგადოების მხრიდან, ამის შემდეგ ბუნებრივია, საჭირო იქნება გამოძიების დაწყება. მინდა, გითხრათ, რომ სამეგრელოში აღმოვაჩინეთ დიდი ოდენობით ვიდეო და აუდიო მასალა, დაახლოებით 404 ფაილი, ის ხსენებულ 26 000 ფაილში არ შედის, ის არის აბსოლუტურად ცალკე საქმე და აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას ვაწარმოებთ. — განაცხადა ღარიბაშვილმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მუშავდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნება პატიმრობით დაისჯება.

მინისტრის თქმით, ამგვარი დანაშაულისთვის დღემდე ჯარიმის ნორმა მოქმედებს, რაც სასაცილო და უადგილოა.

— კომისიის წინა სხდომაზე ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის“ 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლებში დანაშაულის დაზუსტება მოხდეს და ჯარიმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით შეიცვალოს. ჩვენ გავანადგურეთ ის, რაც ჩვენს ხელთ იყო, თუმცა, თუ კიდევ არსებობს ასლები, უნდა მოვახდინოთ კანონმდებლობის გამკაცრება, რათა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის უკანონოდ გამოყენება ვერავინ გაბედოს. ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რამდენწლიანი პატიმრობის სასჯელი შეიძლება იყოს გათვალისწინებული უკანონო ჩანაწერების გამოქვეყნების ან მათი მეშვეობით პირის დაშანტაჟებისთვის. — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელი:

— როგორც, შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, არ არის გამორიცხული, რომ არსებობდეს განადგურებული ვიდეო მასალის ასლები. კომისიის პოზიციაა, რომ გამკაცრდეს კანონმდებლობა და დაისაჯონ ის ადმიანები, რომლებიც მომავალში ამ ასლებს გამოიყენებენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს კადრები ერთ კომპიუტერზე იყო და შესაბამისად ამ კომპიუტერს არ ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა, ამდენად, შეძლებისდაგვარად მათი დაცულობა უზრუნველყოფილი იყო. რაც შეეხება ბატონი ხვედელიძის (შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე) საკითხს, ერთის მხრივ მნიშვნელოვანია, რომ გამკაცრებული, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ის პირები, რომლებსაც წვდომა ჰქონდათ აღნიშნულ ფაილებთან მათი მაქსიმალური დასჯა მოხდეს. ჩვენი ორგანიზაცია არ არის კმაყოფილი იმით თუ როგორ მიმდინარეობს ბატონი ხვედელიძის პროცესი. არა მგონია, რომ ის ამ ეტაპზე სამაგალითოდ არის დასჯილი. ვფიქრობ, ამაზე შესაბამისი უწყებები უნდა დაფიქრდნენ.

# ფიქრია ჩიხრაძე: „ივანიშვილს ქვეყნის მართვაზე ეგზოტიკური შეხედულებები აქვს“

შორენა კოწოწაშვილი

**„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ბუნდოვანს უწოდებს საქართველოს მთავრობის მუშაობას და სახიფათოდ ეჩვენება პრემიერის განცხადება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით. ჩიხრაძე ფიქრობს, რომ მმართველმა კოალიციამ ამ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებები უნდა გააკეთოს.**

აქვს თუ არა მთავრობას გამოკვეთილი პრიორიტეტები და მართლაც პასუხისმგებლობიდან გაქცევად აღიქმება ივანიშვილის წასვლა პრემიერის პოსტიდან? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერ ფიქრია ჩიხრაძესთან

— ქალბატონო ფიქრია, როგორ შეაფასებდით პრემიერის მიერ ბოლო პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს?

— მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი თავის ვრცელ წერილშიც და პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებშიც ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ძალიან ცხადია, ნათელია და წარმატებები თვალსაჩინოა. მე ვიტყოდი, რომ პირიქით არის. წარმატებებზე ძალიან სადაოა საუბარი, რბილად რომ ვთქვათ.

შეიძლება ქვეყანას ახსოვს მძიმე მოლოდინები, ქაოსი, სამოქალაქო დაპირისპირებაც, მაგრამ ისეთი ბუნდოვანი სიტუაცია, როგორიც დღეს არის, ვფიქრობ, საქართველოს უახლოეს ისტორიაში იშვიათად ყოფილა. ეს განცდა მარტო მე არ მაქვს. თუ დავაკვირდებით სახელისუფლო გუნდის განცხადებებს, ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია მათი კომენტარები იმიტომ, რომ არავინ არ იცის, პროცესი საით, რა მიმართულებით მიდის. ერთი ადამიანი იყო, რომელიც გვეუბნებოდა, რომ მან ყველაფერი იცოდა პრემიერ მინისტრის სახით, მაგრამ ისიც მიდის. თანაც ტოვებს ამ ძალიან სერიოზულ ბუნდოვანებას. ივანიშვილს ეს განცხადებები რომ გაეკეთებინა იმ ვადის ამოწურვის შემდგომ, რა ვადითაც 1 ოქტომბერს მას საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა, ეს იქნებოდა მართლაც ძალიან დასაფასებელი ნაბიჯი, რადგანაც საქართველოში ჩვენ სხვა პრეცედენტებს ვართ მიჩვეული ხელისუფალთა მხრიდან, რომლებიც სკამს ძალიან ძნელად ელევიან. ამ შემთხვევაში, ხალხმა მხარი ბიძინა ივანიშვილს დაუჭირა და არა მის გუნდს. გამოდის, რომ მან ის პასუხისმგებლობა, რომელიც 4 წლით აიღო, რეალურად არ აღასრულა, მიდის თანამდებობიდან. მინდა გითხრათ, რომ ივანიშვილს ძალიან ეგზოტიკური შეხედულებები აქვს ქვეყნის მართვაზე. ის თვლიდა, რომ მთავრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის არ უნდა ეხელმძღვანელა და არ უნდა ჩარეულიყო სამინისტროების საქმიანობაში, ეს მისი სიტყვებია, რაც სრულიად გაუგებარია, რადგან პრემიერი არის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი და პასუხისმგებლობას იღებს მთავრობის ყველანაირ საქმიანობაზე. მით უფრო გაუგებარია, რას ნიშნავს, როცა ის თანამდებობაზე აღარ იქნება და მერე აპირებს ჩარევას. მე ვფიქრობ, ეს არის მისი თავისებური წარმოდგენების შედეგი. სამწუხაროა, რომ გუნდში, რომელიც დღეს მართავს ქვეყანას, არ მოიძებნებიან ადამიანები, ვინც მოახერხებენ და კორექტივებს შეიტანენ პრემიერის ასეთ ქმედებებში, აზროვნებასა თუ განწყობაში.



— თქვენ ბუნდოვანი უწოდეთ მთავრობის მუშაობას, თუმცა პრემიერი აცხადებს, რომ ის მთავრობის მუშაობით კმაყოფილია და არც ერთი მინისტრის შეცვლას არ აპირებს.

— პრემიერი ამბობს, რომ ის კმაყოფილია, ეტყობა რომ კმაყოფილია, მაგრამ ყველაფერი პრემიერის კმაყოფილებით არ განისაზღვრება. უსაზღვროდ კმაყოფილი იყო სააკაშვილი თავისი ხელისუფლების მოღვაწეობით, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ხალხიც კმაყოფილი იყო. მთავრობის ეფექტური მუშაობა ჩვენ უნდა დავინახოთ კონკრეტული შედეგებით. თვალშისაცემი უნდა იყოს ის სიკეთეები, რომელიც ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხალხისათვის. ჩვენ ასეთ სიკეთეებს ვერ ვხედავთ. ერთადერთი, რაც იყო მნიშვნელოვანი და ჩვენ ეს აღვნიშნეთ, პირველ ოქტომბერს მოხდა ხელისუფლების ცვლილება უსისხლოდ, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ეს იყო ხელისუფლების გადაბარება იმისთვის, რომ ახალ ხელისუფლებას ყველაფერი უკეთ ეკეთებინა ვიდრე ძველი ხელისუფლება აკეთებდა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გადავიბარეთ ხელისუფლება, მთავარი გამარჯვება არის ეს, დანარჩენზე პასუხს აღარ ვაგებთო.

— თქვენც ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს, რომ ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის? პრემიერმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ ის პასუხისმგებლობას გრძნობს და ქვეყნიდან არ მიდის.

— ვფიქრობ, ეს არის პოლიტიკური ენისთვის გაუგებარი რამეები. როცა ის მიდის თანამდებნობიდან და ამბობს, რომ ტოვებს ვიღაცას, შეიძლება კოალიციამ დატოვოს გარკვეული კანდიდატი. პრემიერ მინისტრს პარლამენტი ირჩევს და როცა პრემიერი მიდის, პარლამენტში არსებული ძალები იწყებენ ფიქრს ახალ კანდიდატურაზე. ბიძინა ივანიშვილი გვეუბნება, რომ არავინ არაფერი უნდა იცოდეს და მის გუნდში რომ არავინ არაფერი იცის, ეს ჩანს. თვითონ იმ კანდიდატებსაც კი სიურპრიზად უმხელს. არაერთხელ გვინახავს ჩვენ ეს ამბავი, ვისაც უპირებს ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნას. ეს არ არის ნორმალური მოვლენა. ეს არ არის საპარლამენტო მმართველობა, რომლისკენაც თითქოს მივდივართ. ეს არის ერთი კაცის მმართველობა. როცა ეს ერთი კაცი ამბობს, რომ მივდივარ და პოსტზე აღარ ვიქნები ოფიციალურად და გარედან ვაპირებ ქვეყნის მართვას, ეს სადღაც მაფიოზობის ზღვარზე გადადის. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ქვეყნის ასეთი მართვა.

— თავად პრემიერი ფიქრობს, რომ მისი გუნდის წევრები უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ, თუ ის სამოქალაქო სექტორიდან გააკონტროლებს.

— მისი გუნდის წევრების პასუხისმგებლობა ჩვენ არაერთხელ ვნახეთ, როდესაც რთული სიტუაცია დგება და ყველა ერიდება რაიმე პრინციპული პოზიციის გამოვლინებას, სანამ პრემიერის პოზიციას არ გაიგებენ. ჩვენ ისეთი რამეებიც გვინახავს, როდესაც რაღაც მიმართულებიც კეთდება კომენტარები პარლამენტში მისი კოალიციის წარმომადგენელთა მხრიდან, თუ მთავრობის წევრთა მხრიდან. უცებ მერე აღმოაჩენენ, რომ ბიძინა ივანიშვილს სხვა პოზიცია ჰქონდა და მერე ყველა გადააბრუნებდა ფირფიტას და სხვანაირად იწყებდნენ ლაპარაკს. ივანიშვილმა შეიძლება ბევრი გვიმტკიცოს, რომ ეს არის მონოლითური გუნდი, პრინციპულად სტრატეგიულ ხაზზე შეთანხმებული გუნდი, მაგრამ ფაქტია, რომ რეალობაში ეს ასე არ ჩანს. არ ჩანდა, რომ ეს მთავრობა როგორც ერთიანი გუნდი, ისე მოქმედებდა. სხვადასხვა სამინისტროებს მნიშვნელოვან საკითხებზე ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები ჰქონდათ.

— გაზვიადებულად დადებითად აფასებს პრემიერი ქვეყანაში არსებულ ვითარებას და თავისი მთავრობის საქმიანობას?

— ასე მარტო მე არ ვფიქრობ.

— დღემდე მმართველი კოალიციის ლიდერები ეკონომიკური კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას მძიმედ არ ასახავდნენ, მაგრამ პრემიერმა ღიად თქვა, რომ ვარდნა არის.

— დიახ. ამიტომ ვამბობ, რომ პრობლემები რეალურად არის და ამ პრობლემებს სჭირდება ეფექტური, მკაფიო ნაბიჯებით მართვა. ჩვენ ვერ ვხედავთ მკაფიოობას ვერც ერთი მიმართულებით. თვითონ მათ მიერ ჩატარებული კვლევა ავიღოთ. მე ვფიქრობ, თუ ასე გაგრძელდა ხელისუფლება ძალიან ცუდ შედეგებამდე შეიძლება მივიდეს. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გარკვეული მახასიათებელი, სად ირჩევს პრიორიტეტს. პრიორიტეტების არჩევის შემდეგ ჩვენ მწყობრ ნაბიჯებს უნდა ვხედავდეთ ამ კუთხით გადადგმულს. ასე, რომ ზედმეტი თვითტკბობა იმითი, რომ ხელისუფლება არის საოცარი, ძალიან კარგი, არავითარი შეცდომები არ არის და ყველაფერი კარგად მიდის, მოსასმენად კარგია, მაგრამ რეალობა სხვას აჩვენებს. გავიდეთ და ხალხს ვკითხოთ, მათი მოსაზრებები არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბევრი მიმართულება გროვდება ისეთი, რომელიც უარყოფითად ფასდება და პრობლემები გროვდება. ვირტუალური წარმატებები შედეგის მომტანი არ არის.

# კახა კუკავა: „საქართველოს პლასტელინის პრეზიდენტი არ სჭირდება“

## ივანიშვილის შემცვლელი კვირიკაშვილი იქნება თუ ღობეგლეჯიაშვილი, ქვეყნის მართვა არ შეეძლება

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, როგორია თქვენი, როგორც ოპოზიციური პარტიის ლიდერის თვალით დანახული დღევანდელი რეალობა. ივანიშვილმა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ის მიდის თანამდებობიდან. რა პროცესებს ელოდებით?***

— მე ვფიქრობ, რომ უბრალოდ დადასტურდა ის, რაზეც აქამდე იყო საუბარი. პირველი ამაზე საუბრობდა ჩვენი პოლიტიკური პარტია, შემდგომში უკვე სხვა ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა დაიწყეს ამაზე საუბარი. დღეს ეს უკვე არის ფაქტი, რომ ქართულმა ოცნებამ ვერ შეძლო ქვეყნის მართვა, ვერ შეძლო იმ დაპირებული რეფორმების გატარება, რომელზეც საუბარი იყო, პრაქტიკულად ვერც ერთ სფეროში. არის სრული კრახი მოსალოდნელი სხვადასხვა მიმართულებით. მე ვუყურებდი გუშინ პრემიერ-მინისტრის ბრიფინგს და შეუძლებელი იყო, არ შეგვემჩნია განსხვავება წინა ბრიფინგებთან, როცა ის საუბრობდა ეიფორიით, ენთუზიაზმით, რომ ამას გეგმავს, იმას გეგმავს. ამჟამად კი მას არაფერი უხსენებია ამდაგვარი. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ უკვე დღის წესრიგში დგება ხელისუფლების შეცვლა. ის, რომ ეს ყველაფერი მშვიდობიანად და ცივილიზებულად მოხდება, ნამდვილად პოზიტივია. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ქართველმა საზოგადოებამაც უნდა გააკეთოს დასკვნები. გასაგებია, რომ ივანიშვილის მემკვიდრე ვერ იქნება კვირიკაშვილი. ამიტომაც თუ იქნება ქვეყანაში ხელისუფლების კრიზისი, როდესაც არ იქნება გარკვეული რაღაც პერიოდის მანძილზე, თუ ვინ მართავს ქვეყანას, ეს ქვეყანას ძალიან დიდ ზიანს მიაყენებს.



***— ამაში რას გულისხმობთ, ბატონო კახა, რომ დააკონკრეტოთ?***

— ამაში ვგულისხმობ იმას, რომ თუ ივანიშვილის შემდგომ, გარკვეული პერიოდი კვირიკაშვილს და მარგველაშვილს მოუწევთ ქვეყნის მართვა, როგორც პრეზიდენტს და პრემირ-მინისტრს და მათთან ერთად უსუფაშვილს, ეს იქნება ძალიან დიდი პრობლემა ქვეყნისთვის. იმიტომ, რომ ყველასთვის გასაგებია, რომ ისინი რეალურად არანაირი ქვეყნის პატრონები არ არიან და უხელისუფლებობა გამოიწვევს დაახლოებით იმ შედეგებს, რაც ყველას კარგად გვახსოვს, 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა ქვეყანაში არსებობდა ხელისუფლების დეფიციტი. ამიტომაც 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქართველი ხალხი, სამწუხაროდ, ცუდის და უარესის არჩევნის წინაშე არის. დღეს ჯობია რომელიმე, თუნდაც ჩვენთვის მიუღებელი კანდიდატი ავირჩიოთ პრეზიდენტის პოსტზე, რომელიც რაღაცა კურსს მაინც გაატარებს. თუ მარგველაშვილი იქნა არჩეული, ეს იქნება ძალიან დიდი ტრაგედია საქართველოსთვის, იმიტომ, რომ პრაქტიკულად ქვეყანაში დაიწყება ქაოსი და ვიდრე ახალი ხელისუფლება არ მოვა ქვეყნის სათავეში, ჩვენ გვექნება ქაოტური რეჟიმი, რომელიც ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს, როგორც კრიმინოგენურ ვითარებაზე, ისე ეკონომიკურ ვითარებაზე და სხვა საკითხებზე.

***— რატომ გგონიათ, რომ ივანიშვილის მემკვიდრე მაინცდამაინც კვირიკაშვილი იქნება, ეს ხომ უბრალოდ ვარაუდებია?***

— უბრალოდ, მისი გვარი დასახელდა, თუმცა კვირიკაშვილი იქნება თუ ღობეგლეჯიაშვილი, არ ექნება მას ლეგიტიმაცია ქვეყნის მართვის, ისევე როგორც მარგველაშვილს არა აქვს ლეგიტიმაცია. მარგველაშვილის მიმართაც არ არის კეთილსინდისიერი, როდესაც მას ეს პოსტი შესთავაზეს. მის საარჩევნო კამპანიას ყველა ვუყურებთ და პირადად მე მისი საცოდაობით ვიტანჯები. ძალიან ჰგავს მისი საარჩევნო კამპანია კადრებს ფილმიდან ჩიკაგო, დაახლოებით ასეთ საარჩევნო კამპანიას ატარებს მარგველაშვილი. მთავარი არ არის, ის შეძლებს თუ არა ამ კამპანიის შედეგად მოგებას, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ადამიანს მოუწევს საქართველოს წარმოდგენა საერთაშორისო სარბიელზე. რა, იქაც გაჰყვებიან უკან თავისი მრჩევლები, ან ივანიშვილი და რომ დაესწრება ევროკავშირის ან ნატოს ღონისძიებებს, იქაც ყურში ჩასჩურჩულებენ, რა უნდა ილაპარაკოს? მე ვფიქრობ, რომ ქვეყნის სტატუსის დადაბლებაა ზოგადად. საქართველო არ არის შვილობილი კომპანია, რაღაცა შპს, რომელსაც შეიძლება ქვეყნის სათავეში დაუნიშნო მენეჯერი. საქართველოს სჭირდება არჩეული ხელისუფლება, რომელსაც ექნება ქვეყნის მართვის მოტივაცია და ქვეყნის მართვის ლეგიტიმაცია.

***— თუმცა ივანიშვილი აცხადებს, რომ კონკურენტი არ ჰყავს მარგველაშვილს და ის პირველივე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებსო...***

— შეიძლება ეს მოხდეს და ეს კიდევ უფრო დიდი პრობლემა იქნება ქვეყნისათვის. როდესაც ადამიანს არა აქვს რეიტინგი და ის იგებს დიდი უპირატესობით... ჩვენ გვახსოვს, ასე მოიგო შევარდნაძემ, რის შემდეგაც დაამხეს ის ვარდების რევოლუციის შედეგად. შემდეგ ისე მოიგო სააკაშვილმა 2008 წლის არჩევნები, რომ ხალხის მხარდაჭერა არ მოჰყვა და ამას მოჰყვა აგვისტოს ტრაგედია. ასე რომ, თუ მარგველაშვილი მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ხალხის მხარდაჭერა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქვეყანაში გამოიწვევს ძალიან სერიოზულ სამოქალაქო დაპირისპირებას.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ტაქსის მძღოლებს ინგლისურს უფასოდ შეასწავლიან

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აცხადებს მიღებას ტაქსის მძღოლებისთვის ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. ახალი ინიციატივა უცხოელ ტურისტთა გაზრდილ რაოდენობას უკავშირდება. პროექტის მიზანი სერვისის გაუმჯობესება და მძღოლთა საქმიანობის ხელშეწყობაა.

როგორც „მედიანიუსს“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან აცნობეს, კურსების წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი. იმ მძღოლებისთვის, რომლებიც უკვე ფლობენ ინგლისურ ენას, სერტიფიკატი და ტაქსზე დასამაგრებელი ნიშანი გასაუბრების საფუძველზე გაიცემა.

„ტაქსი მთელს მსოფლიოში ყველაზე ტურისტულ ტრანსპორტად არის მიჩნეული, მძღოლებისთვის საკომუნიკაციო ინგლისური ენის შესწავლით, ჩვენ შევეცდებით უფრო კომფორტული გავხადოთ საქართველოში ჩამოსული უცხოელი სტუმრების გადაადგილება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. თავის მხრივ ეს მძღოლების კეთილდღეობაზეც აისახება“, — განაცხადა ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ.

მედიანიუსი

# კახი კახიშვილი: „კადრების განადგურებაზე მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა!“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ სრულიად საქართველოს ყურადღება მოდულის შენობისკენ იყო მიპყრობილი, სადაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაანადგურეს. ამ პროცესს ჩემმა კოლეგა ნანა გაგუამ სექსუალური ჭიაკოკონა უწოდა. ამ კადრების განადგურება-არგანადგურებაზე უკვე თვეებია, რაც მსჯელობენ. მათ განადგურებას განსაკუთრებით მწარედ რამდენიმე ცნობადი სახე ითხოვდა. ბოროტი ხმების მტკიცებით, ძველი შსს-ს პორნოსტუდიას მათზეც ჰქონდა ფირები გადაღებული. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, ფეხდადგმულებივით რომ ყვიროდნენ, გაანადგურეთო.

და აი, გუშინ ასრულდა მათი ოცნება. იმედია, ამაღამ მაინც დაიძინებენ მშვიდად. თუმცა, ძალიანაც არ უნდა დაიმშვიდონ თავი. ამ ფირების გადამღებებს ასლებიც ექნებათ და, დიდი შანსია, ერთ მშვენიერ დღეს ეს ფირები ინტერნეტშიც გამოქვეყნდეს.

მოგეხსენებათ, ეს ფირები ახალ ხელისუფლებას შსს-ში დახვდა. ძველებმა ეს „მონაპოვარი“ იქ სპეციალურად დატოვეს და ამით ახლებს მიანიშნეს, ბევრი რამ არის ჩვენს ხელთო.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ამ ფირებში „ქართული ოცნების“ წევრებიც ფიგურირებენ და დღეს თავსმოხვეული კოაბიტაცია სწორედ ამ ფირების დამსახურებაა. რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეგიზ ქარდავა ახალ ხელისუფლებას ამ სკანდალური ფირების გამოქვეყნებით დაემუქრა. რამდენად მართალია მეგიზის მუქარა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მეოცნებეები ნაციონალებს ენის მოჩლექით ესაუბრებიან.

ერთადერთი კაცი, ვინც ამ ფირების განადგურებას ეწინააღმდეგებოდა, ექსპერტი კახა კახიშვილი იყო. მისი სამართლიანი შეგონება არავინ გაითვალისწინა და ფირები გაანადგურეს. კახიშვილი კადრების განადგურებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ მიღებული გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება. აღნიშნულთან დაკავშირებით კახიშვილი 7-პუნქტიან განმარტებას აკეთებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

– 2013 წლის 3 სექტემბერს უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხზე მომუშავე დროებითმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შს სამინისტროს თანამშრომლების მიერ წლების მანძილზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მასალების იმ ნაწილის განადგურების თაობაზე, რომელიც მოქალაქეების პირად (სექსუალურ) ცხოვრებას შეეხება.

ვადასტურებ პატივისცემას კომისიის წევრებისა და მათი გადაწყვეტილების მიმართ. მადლობელი ვარ,



რომ კომისიამ გაითვალისწინა ჩემი და ჩემი თანამოაზრეების არგუმენტები და არ მიიღო გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული უკლებლივ ყველა ფაილის განადგურების შესახებ, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია დიდწილად საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცულობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოკლებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებსა და სტანდარტებს.

ვინაიდან მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შეუსაბამობის დასადასტურებლად სახეზეა გაცილებით მეტი სამართლებრივი არგუმენტი, ვიდრე მიღებული გადაწყვეტილების სისწორის დამადასტურებელი, შევეცდები, მხოლოდ ძირითად და სამართლებრივ არგუმენტებზე გავამახვილო კომისიისა და საზოგადოების ყურადღება:

1) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში აღმოჩენილი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მასალა წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას ანუ მასალას, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან- თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმესთან, რომლის გამოძიების შედეგად, მითითებულ მტკიცებულებათა დახმარებით უნდა დაედგინა დამნაშავე პირები – დამკვეთები და შემსრულებლები, ასევე უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო დაზარალებულ პირთა შელახული უფლებების დაცვა. ამასთან, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ აღმოჩენილი მასალა წარმოადგენს ზღვაში წვეთს იმ მასალასთან შედარებით, რომელსაც სხვადასხვა მიზნითა და მოტივით დანაშაულებრივი გზით მოიპოვებდნენ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, ხოლო ამ მასალის დიდი ნაწილი გატანილია. გაუგებარია, როგორ უნდა დადგინდეს დეტალური გამოძიების გარეშე ამ მასალის გამტანების ვინაობა, უზრუნველყოფილ იქნეს მათი ადგილსამყოფლის დადგენა, ამოღება და დამნაშავე პირების პასუხისმგებლობა. აქვე მსურს აღვნიშნო – აზრი იმის შესახებ, თითქოს ყოველივეს უზრუნველყოფა მოხდება დარჩენილი მასალის გამოყენებით, არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან თითოეულ ცალკე აღებულ დანაშაულს საკუთარი დამკვეთი და შემსრულებელი ჰყავს, ასევე დანაშაულის ჩადენის განსხვავებული მოტივები, ხოლო თუ ასეთი ერთი პიროვნება ან ერთი ჯგუფია, აღნიშნულიც სწორედ გამოძიების ფარგლებშია დასადგენი.

2) ხსენებული მასალის დახმარებით გამოძიების შედეგად შესაძლებელი იყო იმ მოტივებისა და განზრახვის დადგენა, რომელიც საფუძვლად დაედო ასეთი ტიპის სისტემური დანაშაულის მომზადებასა და ჩადენას. კერძოდ, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, იმის შესახებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლები წლების განმავლობაში შერჩევით, მიზანმიმართულად აწარმოებდნენ მოქალაქეების უკანონო მიყურადებასა და თვალთვალს, გამოძიებას უნდა დაედგინა აღნიშნულის მოტივები: ხომ არ ჰქონდა ადგილი მაკომპრომეტირებელი მასალების გამოყენებითა და გასაჯაროების მუქარით ადამიანების მიმართ შანტაჟს, წამებას, დანაშაულში ჩათრევას ან იძულებას. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დამდგარიყო სასტუმროების იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მოქმედებით თუ უმოქმედობით ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და უკანონოდ, სასტუმროების ნომრებში დამნაშავე პირებს დაამონტაჟებინეს ფარული კამერები. ამასთან, გამოძიებას უნდა დაედგინა და შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭებინა ყველა იმ პირის მოქმედებისათვის, რომლებმაც საცხოვრებელ სახლებში და ოფისებში ფარული კამერებისა და მოსასმენი აპარატურის უკანონოდ დამონტაჟებას შეუწყვეს ხელი.

3) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს მტკიცებულებათა დართვის, შენახვისა და განადგურების წესს. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გამოძიებისთვის ღირებული მასალის, სისხლის სამართლის საქმეზე დართვას წყვეტს გამომძიებელი, ხოლო განადგურებას – სასამართლო. ამრიგად გაუგებარია და მოქმედ კანონმდებლობასთან შეუთავსებელია გამოძიებისა და სასამართლოს კომპეტენციაში კომისიის მხრიდან უხეშად ჩარევა.

4) საზოგადოების რამდენიმე წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება – თითქოს საქართველოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ნორმათა შესაბამისად, უკანონოდ მოპოვებული მასალის შენახვა აკრძალულია და ამ მიზეზით ეს მასალა უნდა განადგურდეს, არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არეგულირებს ოპერატიული თანამშრომლების საქმიანობას, კომპეტენციას და უფლება-მოვალეობების ზღვარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კანონის უხეშად და სისტემატურად დარღვევა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ თანამდებობრივ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ფაქტი აუცილებლად უნდა იყოს სრულყოფილად გამოძიებული, ხოლო დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნასა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მკაფიოდ არეგულირებს და ადგენს გამოძიების მიმდინარეობას, მტკიცებულებების მოპოვების, დართვისა და განადგურების წესებს და ასეთი გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს – გამოძიების ორგანოსა და სასამართლოს.

5) არგუმენტად ვერ გამოდგება ვერც ის მოსაზრება, თითქოს არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი მე-8 მუხლი, ევროპის საბჭოს საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვით, თურმე ასეთი საქმეების გამოძიება არ შეიძლება, ვინაიდან ეხება მოქალაქეების პირად ცხოვრებას. წარმოუდგენელია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი ტიპის დანაშაული არ გამხდარიყო სრულყოფილი გამოძიების საგანი, ხოლო ფაქტობრივი მტკიცებულებები განადგურებულიყო. სწორედ ამ კონვენციის მუხლები დაარღვიეს იმ შსს-ს თანამშრომლებმა, რომლებიც აწარმოებდნენ პირად ცხოვრებაში უხეშად ჩარევას და ზუსტად ამის გამო უნდა დადგეს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო ამ მასალის განადგურებით, ფაქტობრივად, შესაძლებელია, დამნაშავე პირებმა თავი აარიდონ პასუხისმგებლობას. ამასთან, ვალდებული ვარ აღვნიშნო, რომ მიუხედავად ხშირი აპელირებისა ევროპულ კონვენციასა და მის პრეცედენტულ სამართალზე, ჩემ მიერ არაერთგზის დასმულ კონკრეტულ თხოვნაზე წარმოდგენილი ყოფილიყო თუნდაც ერთი კონკრეტული გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, რომელიც დაადასტურებდა მასალის განადგურების აუცილებლობასა და გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობას, კონკრეტული პასუხი დღემდე არ მიმიღია.

6) ბატონი ტომას ჰამერბერგის რეკომენდაციაში აღნიშნული მოსაზრება, რომ ეს მასალა უნდა განადგურდეს, ჩემ მიერ გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან ევროკომისიის სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა – უნდა განადგურდეს ის მასალა, რომელიც გამოძიებისთვის არ არის ღირებული, თუმცა, ვიდრე გამოძიება არ გადაწყვეტს, რომელი მასალაა ღირებული, რომელი უნდა განადგურდეს და რომელი არა, გაუგებარია, როგორ იღებს კომისია ასეთ გადაწყვეტილებას და რა კრიტერიუმებით ადგენს, რომელი მასალაა გამოძიებისთვის ღირებული ან რომელი – არა.

7) არგუმენტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამნისტიის და ამ მიზეზით გამოძიების არ დაწყების თაობაზე ასევე ვერ იქნება ჩემს მიერ გაზიარებული, ვინაიდან მსოფლიო სამართლის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომლის დროსაც გამოძიების გარეშე, არაპროცესუალურ პირს ან პირებს მოეხდინათ დანაშაულის საბოლოო კვალიფიკაცია და იქვე განესაზღვრათ ამ მუხლით ჩადენილი დანაშაულის ამნისტირება. გარდა აღნიშნულისა, საქმის ვითარების გაცნობის შედეგად (არა საბოლოო კვალიფიკაციით) იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ისეთი მუხლებიც, რომლებიც არ ყოფილა ამნისტირებული, მაგალითად: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, გაფლანგვა (საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ნაწილში), იძულება, წამება და ა.შ. აღნიშნულის დადასტურება – უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ სრულყოფილი გამოძიების პირობებში, რაც, სამწუხაროდ, ამ ნაწილში ვეღარ ჩატარდება, – აცხადებს კახიშვილი.

წესით და რიგით, კახიშვილის მოსაზრებები უნდა გაეთვალისწინებინათ, მაგრამ არ გაითვალისწინეს და ჰგონიათ, რომ მშვიდად დაიძინებენ. არადა, ამ ფირების დედნები თუ ასლები ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოჩნდეს.

# ცესკომ ივანიშვილს უსაყვედურა

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად ცენტრალური საარჩევნო კომისია სულ უფრო პოპულარული ხდება. პოლიტიკოსებისგან ყურადღება ამ ორგანოს არასდროს აკლია, არჩევნების წინ კი ყველა მათ ლანძღავს და აკრიტიკებს. ცესკოს რამდენიმე კანდიდატმა უკვე დააყარა ქოქოლა. მათ საქართველოს პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც შემოსწყრა. ცესკომ ითმინა, ითმინა და ბოლოს განცხადების გავრცელება გადაწყვიტა.

ცენტრალურმა'საარჩევნო'კომისიამ'დაინტერესებულ'მხარეებს'ამომრჩეველთა'სიების'ნაკლოვანებებზე'საუბრისგან'თავის'შეკავებისკენ'მოუწოდა. ამის'შესახებ განცხადება'ცესკოს თავმჯდომარის'მოვალეობის'შემსრულებელმა'დავით'კირთაძემ'განაცხადა. ის საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და განათლების მინისტრის განცხადებებს ეხმიანება და ხაზს უსვამს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რათა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების სრული შესაბამისობით და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით წარიმართოს.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის 4 სექტემბრის პრესკონფერენციაზე გაიჟღერა მოსაზრებამ ამომრჩეველთა არსებულ სიებში მნიშვნელოვანი დარღვევების შესახებ. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი განცხადებები არ უწყობს ხელს საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და არჩევნების ნორმალურად წარმართვას. ამავე დროს სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საარჩევნო სიები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მყარ საფუძველს ქმნის თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის. ამომრჩეველთა სიების ფორმირება ხდება სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების – იუსტიციის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კი, ამ მონაცემების გაერთიანება და საარჩევნო უბნების მიხედვით დაყოფა ხდება.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამომრჩეველთა სიის მონიტორინგი დაინტერესებული მხარეების მიერ, რეგულარულად ხორციელდება. 2010 წელს 11-მა პოლიტიკურმა პარტიამ 100-100 ათასი ლარის დაფინანსება მიიღო და უშუალოდ განახორციელა ამომრჩეველთა სიების გადამოწმება. 2012 წელს შეიქმნა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია, რომელმაც „კარდაკარის” პროგრამა განახორციელა და რომლის მიერ მოწოდებული სიებით იხელმძღვანელა საარჩევნო ადმინისტრაციამ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე. კომისიის მუშაობაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პოლიტიკური პარტია და სადამკვირვებლო ორგანიზაცია.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის ძალებით უახლოეს მომავალში, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დასრულებისთანავე, ვაპირებთ განვახორციელოთ „კარდაკარის” პროგრამა, რომლის დროსაც ამომრჩევლებს სპეციალური საინფორმაციო ბარათები დაურიგდებათ და შესაძლებლობა ექნებათ უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სიების დაზუსტების პროცესში. ეს არის ცესკოსა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი, რომელიც ამომრჩეველთა სიებში ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ პოლიტიკოსებმა, მედიამ და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ მტკიცებულებების გარეშე ამომრჩეველთა სიებში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებზე საუბრისაგან. ეს ამკვიდრებს უსამართლობის განცდას და ეჭვის ქვეშ აყენებს საარჩევნო პროცესის სანდოობას. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 3 სექტემბერს გააკეთა განცხადება, სადაც განათლების სისტემის მუშაკებისთვის საარჩევნო კოდექსით დადგენილი შეზღუდვები განმარტა. საარჩევნო ადმინისტრაცია მიესალმება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მცდელობას, პრევენციული ღონისძიებები განახორციელონ ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერი გამოყენების წინააღმდეგ. მაგრამ სასურველია, ეს მცდელობები გარკვეულ კოორდინაციაში იყოს საარჩევნო ადმინისტრაციასთან, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი შედეგები. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ზემოხსენებული განცხადების ის ნაწილი, რომლითაც, საუბნო საარჩევნო კომისიებში საქმიანობა თითქოსდა აკრძალულია საჯარო მოხელეებისათვის, არასწორად იქნა გაგებული პედაგოგთა ნაწილის მიერ და ზოგიერთმა მათგანმა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობაზე გამოცხადებული კონკურსიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა. ამ ფაქტმა შეიძლება საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს გარკვეული სიძნელეები შექმნას. ასეთი სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით მოვუწოდებთ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს, 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებები საარჩევნო ადმინისტრაციასთან კოორდინირებულად განახორციელონ, – განაცხადა დავით კირთაძემ.

# „პროკურატურა დამოუკიდებელი არ არის“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან

***— ბატონო მამუკა, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ ფაქტებით დასტურდება ხელისუფლების სიტყვისა და საქმის სხვადასხვაობა?***

— ვგულისხმობ თავდაპირველად გაკეთებულ სხვადასხვა განცხადებას — თუნდაც რკინიგზის გახსნის, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ეკონომიკური მიზანშეწონილობის თაობაზე.

***— ყარსი-ახალქალაქის რკინიგზასთან დაკავშირებით კითხვები ხომ მოიხსნა?***

— არავინ მითხრას, რომ ის განცხადება ეკონომიკური გათვლებით იყო გაკეთებული. ეს იყო საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვისთვის გადაგდებული განცხადება ივანიშვილის მხრიდან. ეს საკითხი დღეს დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის, რადგან მშენებლობის დამთავრება საჭირო ვადებში ვერ ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, ნატოს ტვირთი ამ გზაზე ვერ გაივლის.

***— ბატონო მამუკა, თქვენ ახლა სააკაშვილის აზრებს იმეორებთ.***

— სააკაშვილმა ეს თქვა?

***— დიახ, სპეციალურად ისაუბრა ამაზე.***

— თუ ეს განცხადება გააკეთა სააკაშვილმა, კარგი განცხადება გაუკეთებია, ეს სწორია. ნატოს ტვირთები აქ ვერ გაივლის. საქართველო დამატებით შემოსავლებს კარგავს.

***— ჯერ რა იცით, რომ ასე იქნება, იქნებ ამთავრებენ?***

— თუ ამ რკინიგზის მშენებლობა დროზე დამთავრდა, კარგია. მე კითხვები მაქვს, არ ვამტკიცებ. ეჭვი მეპარება ამ ხელისუფლების საგარეო ორიენტაციაში იმის გამო, რომ ერთს აცხადებენ და აკეთებენ მეორეს. აღნიშნული რკინიგზა უკავშირდებოდა აზერბაიჯანს და აფშერონის ნახევარკუნძულზე ნატოს დროებითი ბაზა უნდა ყოფილიყო.

***— ჩვენ შევუშალეთ ხელი?***

— თუ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა არ აშენდება, ხელი ეშლება იმ გეგმას, რაც არსებობს — ვერ ხორციელდება ავღანეთიდან გამოყვანილი ნატოს შენაერთების დროებით ბაზაზე განთავსება. რუსეთმა შეშფოთება გამოთქვა, ეს დროებითი კი არა, მუდმივი იქნებაო. ამიტომ აქ ვხედავ უნისონში ქმედებას, თუნდაც განცხადებების დონეზე.

***— თქვენთვის ცნობილია, აღნიშნული რკინიგზის მშენებლობა როგორ მიმდინარეობს? სააკაშვილი ბევრ ტყუილს ამბობს და მისი აღნიშნული განცხადებაც სიმართლეს არ შეესაბამება. მე მისი ინფორმაციის არ მჯერა.***

— ჩემი ინფორმაციის წყარო სააკაშვილი არ არის. მე ვსაუბრობ მათ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვინც ატარებდა რკინიგზის მშენებლობის გეოლოგიურ კვლევებს. ისინი ინფორმირებული ადამიანები არიან და ამბობენ, რომ რკინიგზის მშენებლობა შენელებულია. როგორც ვიცით, ამ მშენებლობაზე ქართული ფული არ იხარჯებოდა, ფულის შემოდინება კი შენელდა.

***— ვინ აფინანსებდა?***

— აზერბაიჯანის მხარე აფინანსებდა.

***— რატომ აღარ შემოდის რკინიგზის მშენებლობაზე ფული?***



— ვინაიდან აზერბაიჯანულ მხარეს ეჭვი ეპარება აფხაზეთის მონაკვეთის რკინიგზის აღდგენის მიზანშეწონილობაში. აქაც კითხვის ნიშნები გაუჩნდა. ამიტომ არის შეფერხებები. ეს რატომ არის დასამალი.

***— აზერბაიჯანული მხარე წინააღმდეგია რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენისა?***

— დიახ.

***— მერედა, აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზა იხსნება?***

— დღის წესრიგში დგას. აფხაზეთის რკინიგზის გახსნა აინტერესებთ ირანს, სომხეთსა და რუსეთს, რადგან, ირანზე შესაძლო სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, პირდაპირი კავშირი არსებობს გიუმრის სამხედრო ბაზასთან. სხვა გზა რუსეთს გიუმრის სამხედრო ბაზასთან არ აქვს, გარდა ამ რკინიგზის მონაკვეთისა. ამიტომ ეს პირდაპირ სტრატეგიული მონაკვეთია.

***— ღიად ამაზე საუბარი არ არის. რა იცით, რომ აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის გახსნის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია?***

— ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტთან არსებობს საზოგადოებრივი საბჭო. რამდენიმე თვის წინ გაიმართა ამ საზოგადოებრივი საბჭოს სხდომა, სადაც ღიად ითქვა, რომ აფხაზებს არ აინტერესებთ ამ რკინიგზის გახსნა. მათ თქვეს, რომ უნდათ, ქართველებმა მისცენ აეროპორტის გახსნის საშუალება ანუ მთელი სპეკულირება. ეს რკინიგზა რომ ქართველებსა და აფხაზებს ინტეგრაციაში ხელს შეუწყობს, მინისტრ ზაქარეიშვილის მხრიდან აბსოლუტურ საფუძველსაა მოკლებული. ეს არის სპეკულირება, რომელსაც ის ამ პროექტის განხორციელებისთვის იყენებს.

***— ვთქვათ, რკინიგზა გაიხსნა. კონკრეტულად რა მოჰყვება ამას?***

— ვთქვათ, რკინიგზა გაიხსნა და ამ რკინიგზის მეშვეობით რაღაც ტვირთი აფხაზმა შემოიტანა, რაღაც — ქართველმა. ამასთან, რუსეთმაც დატვირთა რამდენიმე ეშელონი და გაუშვა გიუმრის ბაზისკენ. რით შეუშლის საქართველო ხელს? რომელი იქნება საქართველოსთვის უფრო მომგებიანი, ეს საფრთხე აცილებული იყოს თუ ვიღაცამ რაღაც სასუსნავი გადაუგდოს ვიღაც გათანგულ ადამიანებს, რომელია უფრო მომგებიანი სტრატეგიული თვალსაზრისით?

***— რუსეთს მაინც აქვს სამხედრო ტვირთების გადატანის საშუალება გიუმრის ბაზაზე საქართველოს ტერიტორიის — ლარსის მხრიდან და საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით ანუ ეს რკინიგზა შეიძლება იყოს დამატებითი საშუალება...***

— დამატებითი კი არა, მთავარია.

***— ბატონო მამუკა, ძირითადი გზა ხომ მაინც აქვს, რომელიც სააკაშვილმა გაუხსნა რუსეთს?***

— ჯანდაბას სააკაშვილის თავი, თუ გაუხსნა. მე ახლა სააკაშვილზე არ ვსაუბრობ. ეს არის მავნებლობა. თუ ოდნავ ჩაიხედავ სიტუაციაში და გაერკვევი — რას ნიშნავს, როცა ვითარება დაძაბულია, არეულობაა, ამ დროს ტვირთების გადატანაა უფრო მნიშვნელოვანი, რკინიგზა ომის მდგომარეობით (სტრატეგიული თვალსაზრისით) თუ ლარსის რაღაც მთაზე აგრეხილი გზა? შედარებაც არ შეიძლება.

***— ომის შემთხვევაში რკინიგზის ლიანდაგებს ვერ აყრი და მატარებლებს ვერ გააჩერებ?***

— როცა ხელშეკრულებას გაუფორმებ, შემდეგ რკინიგზის აყრა ჩაგეთვლება დივერსიად და საბოტაჟად.

***— ტვირთების გაკონტროლების საშუალება ხომ გექნება. თუ ამგვარი რამ ხელშეკრულებაში არ ჩაიწერა, ამ საკითხის დარეგულირების მექანიზმი არ იქნება დოკუმენტში, ისე როგორ იქნება?***

— ეს მიდგომა ცეცხლთან თამაშს ჰგავს. როცა ცეცხლს ეთამაშები, ძლიერი ცეცხლჩამქრობი მაინც ხელში თუ არ გაქვს, ცეცხლი ყველა შემთხვევაში დაგწვავს. ცეცხლჩამქრობს ჩვენი ხელისუფლების ხელში ვერ ვხედავ. ვხედავ ბენზინსა და გაზს.

***— სააკაშვილი მუდამ ცეცხლს ეთამაშებოდა და სულ ბენზინი და ნავთი ეჭირა ხელში და ერთხელ არ გაგიკრიტიკებიათ.***

— ერთხელაც გამიკრიტიკებია და ათჯერაც. სააკაშვილი ცეცხლს რომ ეთამაშებოდა და ბენზინი და ნავთი ეჭირა ხელში, იმიტომ დადგა შედეგი 2012 წლის 1 ოქტომბერი. რა ვქნათ? ეს არის პოლიტიკური პროცესი. ხელისუფლებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ არჩევნები წააგო. არჩევნების შედეგად მოვიდა ახალი ხელისუფლება. ვინაიდან სააკაშვილი ცუდი ბიჭი იყო, ახალ ხელისუფლებას არ მოვთხოვოთ? მე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვსაუბრობ. მე ეჭვი მეპარებოდა ბატონი ივანიშვილის იმ ნათქვამშიც, რომ მან პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო მაშინ, როცა განაცხადი გააკეთა. სინამდვილეში, ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო მაშინ, როცა ციხის კადრები ჩაიგდო ხელში. უკვე ციხის კადრები და ბევრი ფული ხელში ჰქონდა, როცა პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღო.

***— ნაციონალებმა ხომ არ მოგაწოდეს ეს ინფორმაცია, რომ გაახმოვანოთ?***

— არა. ამას რომ მეუბნებით, მწყინს. ნაციონალებთან კონტაქტი საერთოდ არ მაქვს.

***— თქვენი წყენინება არ მიფიქრია. უბრალოდ, ისეთ რამეებს ამბობთ, ნაციონალების პოზიციებს ემთხვევა.***

— ივანიშვილმა თავისი პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც ბედუკაძის მეშვეობით ციხის კადრები ჩაიგდო ხელში.

***— სხვათა შორის, ბედუკაძის გათავისუფლება არც ივანიშვილს მოეწონა.***

— ეს ტყუილია. დარწმუნებული ვარ, კბილაშვილმა ივანიშვილთან შეთანხმებით გადადგა ეს ნაბიჯი.

***— ეს საიდან იცით?***

— 100-%-იანი ვიცი, რომ კბილაშვილმა ბედუკაძის გათავისუფლება ივანიშვილს შეუთანხმა.

***— დაზვერვის სამსახურთან ხომ არ გაქვთ კავშირი ან სახელმწიფო კანცელარიიდან ხომ არ გაწვდიან ინფორმაციას?***

— ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი რამაა. პოლიტიკაში ასეთი რამ მოდის. კბილაშვილმა, უბრალოდ, პოლიტიკური მეხამრიდის ფუნქცია შეასრულა, როგორც უფრო დაბალი რანგის სახელმწიფო მოღვაწემ. კბილაშვილმა განაცხადა, პოლიტიკოსი არ ვარო, მაგრამ ის, რომ კბილაშვილმა გადაწყვეტილება მიიღო და ბედუკაძე გარეთ გამოუშვა, ეს არის პოლიტიკა. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი. ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლებოდა, ბუნებაში მომხდარიყო.

***— არ შეიძლება, პროკურორი დამოუკიდებლად წყვეტდეს რამე საკითხს?***

— დღევანდელ საქართველოში გამორიცხულია.

***— ალბათ, იმიტომ გამორიცხავთ, რომ ჩვენ შეჩვეული ვართ მუდმივად, ზემოდან, ერთი კაცის კარნახით ყველა სფეროს მართვას. სააკაშვილისა და შევარდნაძის დროსაც ერთი კაცის მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული ყველა ძალოვანი სტრუქტურა.***

— ასე იყო. ვერ წარმომიდგენია, ივანიშვილი ვერ აკონტროლებდეს პროკურატურას. ეს არის ზღაპარი. სხვანაირად გამორიცხულია, ხელისუფლება თავზე დაემხობა.

# კახა კუკავა: „საქართველოს პლასტელინის პრეზიდენტი არ სჭირდება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***— პრემიერი ვერ ეგუება მარგველაშვილის აუგს, მის უკან მე ვდგავარ და როდესაც მას ლანძღავენ, გამოდის, რომ მე მლანძღავენო...***

— შეიძლება ასეც არის, მაგრამ პრემიერი სულიწმინდა არ არის და მისი კრიტიკის უფლებაც გვაქვს საზოგადოებას, როცა რაღაცაში არ ვეთანხმებით.

***— მინისტრებს აქებს პრემიერი, კარგზე უკეთესი მინისტრთა კაბინეტი გვყავს და საკმაოდ ძლიერ გუნდს ვტოვებ ქვეყნის სათავეშიო... რამდენად არის ეს ასე?***

— ამას არ იზიარებს ქართველი საზოგადოების ძალიან დიდი უმრავლესობა, ის ადამიანები, რომლებიც არიან ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები, იმ ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობაც თვლის, რომ მისი კაბინეტი, მისი პოლიტიკური გუნდი არის ძალიან უსუსური და არაკომპეტენტური. ყველაზე ერთნაირად საუბარი არ შეიძლება, ნამდვილად არიან მინისტრები, რომლებიც ასე თუ ისე უმკლავდებიან თავიანთ საქმიანობას. მე ხშირად მითქვამს და კიდევ შემიძლია გამოვყო შედარებით უკეთესი მინისტრები, მაგრამ არიან მინისტრები, რომლებიც, მე ვფიქრობ, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ და ამისი არდანახვა ახლა, უბრალოდ შეუძლებელია.

***— თქვენი აზრით, თუკი გაიმარჯვებს მარგველაშვილი, ცუდი პროცესები წავა ქვეყანაში?***

— კი, ეს იქნება ხელისუფლების დეფიციტი, ხელისუფლების ვაკუუმი. ეს ჩემი გამოგონილი ტერმინი არ არის, პოლიტოლოგიაში ცნობილი ტერმინია. 90-იან წლებში, როცა ქვეყანაში პოლიცია არ არსებობდა, არ არსებობდა პროკურატურა, იყო ხელისუფლების ვაკუუმი და ეს ვაკუუმი მაშინ შეავსო მხედრიონმა. ახლა რამდენად მოიგო ამით ქართულმა სახელმწიფომ, ეს ყველას კარგად გვახსოვს. ახლაც, როდესაც ქვეყანაში არ იქნება რეალური პრეზიდენტი, როცა პრეზიდენტი იქნება მარიონეტი და პლასტელინი, ამ ვაკუუმს ვიღაცა შეავსებს. იქნება არაფორმალური გავლენები და ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის არის ცუდი, როდესაც სახელმწიფოს ფუნქციას, ხელისუფლების ფუნქციას, რაღაცა სხვა დაჯგუფებები მოაწესრიგებენ. დღეს რომ მიხვიდეთ სახელმწიფო კანცელარიაში, ის არის ცარიელი და არც პრემიერი დადის სამსახურში და არც მისი თანაშემწეები. საკითხები რომ სხვადასხვა რეზიდენციებში და სხვადასხვა „დაჩებზე“ წყდება, ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს სისუსტეზე მეტყველებს.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ არჩევნების დროს მოსახლეობას ცუდსა და უარეს შორის მოუწევს არჩევნის გაკეთება და ერთი მარგველაშვილი იგულისხმეთ და მეორე ვინ — ბურჯანაძე?***

— არა, კონკრეტულად რატომ მარტო ბურჯანაძე, კანდიდატები ძალიან ბევრია. სიმართლე რომ გითხრათ არც ერთი კანდიდატის მიმართ არა ვარ დიდი სიმპათიებით განწყობილი, მაგრამ ამ არჩევანში ის ვიგულისხმე, რომ არსებობს ასეთი გამონათქვამი, რომ ცუდი გადაწყვეტილების მიღება სჯობია, გადაწყვეტილების საერთოდ არმიღებას. სიტყვაზე ავიღოთ რომელიღაცა იქს კანდიდატი, იყოს თუნდაც შალვა ნათელაშვილი, ის ბევრს არ მოსწონს, მაგრამ თუ შსლვა ნათელაშვილს აირჩევენ, ის, ვინც მას ხმას მისცემს, ეცოდინება, რომ შალვა იქნება საქართველოს პრეზიდენტი და არა გუგავა, ან სხვა, ვინც მას რაღაცას თავს მოახვევს. მარგველაშვილის შემთხვევაში ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ქვეყანას პრეზიდენტი არ ეყოლება. მარგველაშვილის არჩევა ნიშნავს იმას, რომ ვიღაცა სხვა უნდა იყოს პრეზიდენტი, რომელიც დაჯდება კულუარებში, რუხი კარდინალი იქნება თუ მწვანე კარდინალი, იქიდან უნდა უკარნახოს მერე მართვის სტრატეგია. მე იმას ვგულისხმობ, რომ ამას სჯობია, მარგველაშვილი საერთოდ ამოვრიცხოთ კანდიდატების სიიდან, იმიტომ, რომ თუნდაც მოიგოს, ის არ იქნება პრეზიდენტი და ჯობია დანარჩენებიდან გავაკეთოთ არჩევანი, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენებზეც დიდი აღფრთოვანება ქართველ საზოგადოებას არ ჰქონდეს.

***— ბატონო კახა, თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ივანიშვილი რუხ კარდინალობას აპირებს?***

— მე ვფიქრობ, რომ არის ასეთი გეგმა, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება შეუძლებელი. როცა პირველ პირებად მოდიან ხელისუფლებაში ადამიანები, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ყველაფერი უკეთესად იციან და საზოგადოების და მით უფრო ოპოზიციის აზრებს ყურადღებას ნაკლებად აქცევენ, მაგრამ მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ მართვის ეს მოდელი არ იმუშავებს დიდი ხნის მანძილზე, რამდენიმე თვე შეიძლება იმუშაოს და დამთავრდება ქართული ოცნების ნარჩენების სრული ლიკვიდაციით. შეუძლებელია მართვის ასეთი მოდელი, რომ ქვეყნის მთავრობა იმართოს სადღაც კულუარებიდან, ეს არსად ხდება. ერთი ირანშია და იქ რაღაცა რელიგიური ინსტიტუტი მართავს პოლიტიკურ ინსტიტუტს. ანალოგიები არ არსებობს, ამიტომ როგორც კი ვიღაცა შეეცდება, რომ კულუარიდან მართოს სახელმწიფო, ეს გამოიწვ ევსპოლიტიკურ კრიზისს, გამოიწვევს სამოქალაქო დაპირისპირებას, რაც საბოლოოდ დამთავრდება პოლიტიკური გადატრიალებით და ქვეყნის სათავეში მოვა მთავრობა, რომელსაც, ახლა ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რაღაცა ხედვა ექნება ქვეყნის მართვის. დღეს ხელისუფლება თბილისზე, რუსთაველის გამზირზე აგდია და ვინც იპოვის, იმისია.

***— რა პროცესების განვითარებას ელით და გამოსავალს რაში ხედავთ?***

— მე ახლა როგორც პასუხიმგებლიანი მოქალაქე, წავალ ამ არჩევნებზე, მარგველაშვილს და ბაქრაძეს გადავხაზავ და რომელიმე ერთ კანდიდატს, რომელიც შედარებით ნაკლებად მიუღებელი არის ჩემთვის, მხარს დავუჭერ. იდეალური კანდიდატის და პრეზიდენტის არჩევის შანსი ჩვენ არ გვექნება, მაგრამ ჯობია ავირჩიოთ თუნდაც ჩვეულებრივი, ზომიერი პრეზიდენტი, რომელიც შემდეგი ხუთი წელი ქვეყანას რაღაც ა პუნქტიდან ბე პუნქტში მიიყვანს. ვიდრე საერთოდ მძღოლის გარეშე გავუშვათ მანქანა სამართავად.

***— ალბათ მძიმე შემოდგომა გველის, პოლიტიკურად ცხელი ხომ?***

— კი, მე ვფიქრობ, შემოდგომაზე უფრო მეტად ეს იქნება მომავალი წლის პრობლემები, რომელიც ნელ-ნელა იჩენს თავს. 2013 წლის ეკონომიკური შედეგები გამოქვეყნდება 2014 წლის დასაწყისში. დარწმუნებული ვარ, რომ გაზაფხულის დადგომასთან ერთად უკვე ოფიციალურად დაიშლება ქართული ოცნება, რომელიც უკვე დაშლილია და ირაკლი ალასანია, გუბაზ სანიკიძე და სხვები გააკეთებენ ალბათ საჯარო განცხადებებს და გაემიჯნებიან ამ კოალიციას და ეს პროცესები ნელ-ნელა წარიმართება და წავა იქითკენ, რომ ქართული ოცნებაც მიემატება პოლიტიკურ სასაფლაოზე, სადაც მარჯვნივ იქნება მოქალაქეთა კავშირის საფლავი, მარცხნივ — ნაციონალური მოძრაობის და სადღაც შუაში გაითხრება მათი სამარე. ეს არ არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც მომავალი აქვს, ეს დღესავით ნათელია. არც ერთ საკითხზე, ქვეყნის არც ერთ მნიშვნელოვან ტკივილზე, რომელიც აწუხებს ქართულ სახელმწიფოს, მათ არა აქვთ არანაირი ხედვა და არანაირი გეგმა. აბსოლუტურად არანაირი. მარტო ის, რომ გაგებით მოვეკიდოთ, მოვითმინოთ, არ არის ხედვა. რა თქმა უნდა, შეიძლება გაგებით მოვეკიდოთ და მოვითმინოთ რაღაცა, რომ ვხედავდეთ, დღეს გაკეთდა საქმის ერთი პროცენტი, ხვალ გაკეთდება 2%, მაშინ ჩვენ გვექნება მოლოდინი, რომ ზეგ გაკეთდება საქმის 3%. მაგრამ როცა ვხედავთ, რომ ქვეყანაში არის უძრაობის ხანა, რა თქმა უნდა, მოთმენა და გაგებით მოკიდება ძალიან ძნელია.

# რას ედავებიან ნაციონალები საკრებულოში უმრავლესობას?

მერი ნამორაძე



ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს თბილისის საკრებულოში ცოტა გვიან გაახსენდათ, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები, რომლებიც მათი კოორდინატორების მოვალეობას ასრულებდნენ, უხელფასოდ დარჩათ. არადა, როგორია, საპრეზიდენტო არჩევნების წინ რომ ხელიდან გამოგეცლებიან გამოცდილი კოორდინატორები? ამხანაგობების თავმჯდომარეების კოორდინატორობაში საკრებულოს ამჟამინდელ უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება და მიაჩნიათ, რომ ერთობ სამართლიანად გამოაცალეს ხელიდან ნაციონალებს ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე პარტიული აქტივისტების დაფინანსების ბერკეტი.

გუშინ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეფორმატორების“ თავმჯდომარე თემურ გრიგალაშვილმა საკრებულოს უმრავლესობას ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გადანაწილების მიზნით კონსულტაციები შესთავაზა. ამის შესახებ მან პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გრიგალაშვილის თქმით, უმრავლესობის ინიციატივით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა დედაქალაქში ბინათმესაკუთრეებს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა. კერძოდ, უმრავლესობის ინიციატივით, საკრებულოს 19 აგვისტოს სხდომაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხა ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარით შემცირდა. შესაბამისად, შეფერხდა საცხოვრებელი კორპუსების სახურავების, ლიფტების, კომუნიკაციების რეაბილიტაცია.

— ამ შემცირებას ვაპროტესტებთ, რადგან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრისათვის დაგეგმილ სამუშაოებს ასეთი მასშტაბებით ველარ ატარებენ. უმრავლესობას ვთავაზობთ კონსულტაციას, რათა ოპტიმალური გზა გამოიძებნოს. იმედია, მოსახლეობის პრობლემის მოგვარებაზე ერთად ვიმუშავებთ, — აღნიშნა თემურ გრიგალაშვილმა.

სხვათა შორის, 19 აგვისტოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე შიხიაშვილმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ჯობს, თბილისში ჯერ ავარიულ სახლებს მიხედონ, რათა მოსახლეობა ქუჩაში არ დარჩეს, შემდეგ კი

ლიფტებს, სახურავებსა და დანარჩენ სხვას. ასე რომ, პრიორიტეტად წელს საკრებულომ ავარიული ბინების გამაგრება აღიარა, რასაც, როგორც ჩანს, ნაციონალები ნაკლებად ეთანხმებიან.

გუშინვე გამოეხმაურა გრიგალაშვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი მუსხელიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინასებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი არ შემცირებულა. მისი თქმით, თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 2 მილიონი ლარით გაიზარდა და 24 მილიონი ლარი შეადგინა.

— ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ამ ტიპის განცხადებები მიუღებელია, რადგან ამხანაგობების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა არ შემცირებულა და პროექტებიც შეუ-



ფერხებლად მიმდინარეობს. დაფინანსება შეეზღუდათ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ე.წ. პარტიული კოორდინატორები არიან და ისინი წლების განმავლობაში იღებდნენ ხელფასებს იმისთვის, რომ პარტიული დავალებები შეესრულებინათ, — განაცხადა გიორგი მუსხელიშვილმა.

# „ლაშა პაპაშვილი მთავარი პროკურატურისთვის ხელშეუხებელი პერსონაა“?!

შორენა გონგლაძე



„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერ აკაკი ასათიანის მევალეები „ბანკ რესპუბლიკისგან“ მორიგებაზე წასვლას ითხოვენ. მათ სურთ, გაიყიდოს აკაკი ასათიანის სახლი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება როგორც ბანკის, ასევე იპოთეკარების მოთხოვნების დაკმაყოფილებაც. ამის შესახებ მევალეებმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

მათი განცხადებით, ასათიანს 40-მდე კერძო იპოთეკარის ვალი აქვს, ხოლო ვალის ოდენობა დაახლოებით 600-700 ათასი დოლარია.

— ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ მას, ვიცოდით, რომ ბანკში იყო მისი სახლი, რადგან გვითხრა, რომ გაყიდდა სახლს, ბანკსაც გაისტუმრებდა და ჩვენც. დიდი ხნის ნაცნობობა გვქონდა ერთმანეთში და ვენდეთ მის სიტყვას, მით უმეტეს, რომ ქონება იყო. სახლი ჩემზე გადმოფორმდა 2009 წლის 24 ივლისს. როცა დავიწყეთ მცდელობა, გაგვეყიდა სახლი, აღმოჩნდა, რომ 31 ივლისს ჩაატარა ბანკმა აუქციონი და გადაიფორმა სახლი. ამის შესახებ წინასწარ არავის გაგვიგია, რამდენიმე წინა საღამოს მიიღო შეტყობინება. ჩვენ რომ გვცოდნოდა, იქნებ შეგვესყიდა სახლი და შემდეგ განვკარგავდით. იმ დღიდან აკაკი ასათიანი ცხოვრობს ამ სახლში 4 წელია და ჩვენ არავინ არაფერს არ გვაძლევს, — აცხადებს ლელა სორდია.

-– იპოთეკარ ლალი რობაქიძის თქმით კი 2009 წლის ივლისში „ბანკ რესპუბლიკასა“ და აკაკი ასათიანს შორის მოხდა დანაშაულებრივი გარიგება. რობაქიძის თქმით, კონტრაქტს ვადა 2009 წელს ამოეწურა. ამ პერიოდის განმავლობაში „ტრადიციონალისტთა“ ლიდერს არც ვალი დაუბრუნებია და არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

— შეთანხმება, რომლის საფუძველზეც გაიმართა 31 ივლისს აუქციონი, არის ფარატინა ფურცელი, რომელსაც არ აქვს არც ერთი ისეთი რეკვიზიტი — არ აქვს ნომერი, თარიღი ან სხვა რეკვიზიტი, რომელიც უტყუარს გახდიდა, როდის დაიდო ეს შეთანხმება. ის იურიდიული კომპანიები, რომლებმაც ჩაატარეს მორიგება და მოამზადეს დოკუმენტაცია აღსრულებისთვის — ყველა არის ლაშა პაპაშვილის წილობრივი მონაწილეობით, — ამბობს ლალი რობაქიძე. მისივე თქმით, სესხი, რომელიც გაიცა აკაკი ასათიანის სახლზე, მიზნობრივად არ გამოყენებულა. ლალი რობაქიძე ასევე ამბობს, რომ ამ პერიოდში დაზარალებულმა იპოთეკარებმა მიმართეს ეროვნულ ბანკს, ბანკების ასოციაციას, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, 2013 წლის 15 მაისს კი პროკურატურასაც, რომ დაეწყოთ ამ საქმის შესწავლა, თუმცა პასუხი არც ერთი ინსტანციიდან არ მიუღიათ.

— ვთხოვ პროკურატურას, დაინტერესდეს ამ საქმით, თორემ ვიტოვებ საფუძველს, ვიფიქრო, რომ ლაშა პაპაშვილი დღეს მთავარი პროკურატურისთვის ხელშეუხებელი პერსონაა, — ამბობს ლალი რობაქიძე.

დაზარალებული იპოთეკარები აცხადებენ, რომ მათ უკვე ჰყავთ სახლის მყიდველი და, თუ „ბანკი რესპუბლიკა“ წამოვა მორიგებაზე, დაკმაყოფილდებიან ბანკიც და კერძო იპოთეკარებიც.

შეგახსენებთ, რომ აკაკი ასათიანი სახლიდან გამოასახლეს. ასათიანს სულთანიშვილის ქუჩაზე საკუთარი 4-სართულიანი სახლი ბანკმა ჩამოართვა. აკაკი ასათიანის სახლთან შეკრებილი იყვნენ კერძო იპოთეკარებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაზარალებულები არიან და მათ სხვადასხვა დროს ასათიანს თანხები ასესხეს, რის დაბრუნებასაც წლებია ელიან. მათი თქმით, ასათიანს კერძო იპოთეკარები უკვე რამდენიმე წელია, უშედეგოდ მხოლოდ ძირითად თანხას სთხოვენ.

იპოთეკარები კიდევ ერთხელ მიმართავენ პროკურატურას და მოუწოდებენ, ამ საქმით დაინტერესდეს.

# საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის საჯარო განხილვა 9 სექტემბერს მოეწყობა

როლანდ ხოჯანაშვილი

გარემოს დაცვის სამინისტროს ხშირად საყვედურობენ იმაზე, რომ სახელწოდებას ვერ ამართლებს. არაერთხელ გამხდარა აღნიშნული უწყება კრიტიკის საგანი და არცთუ უსაფუძვლოდ. გარემოზე მომხდარი ზემოქმედება ბოლო ათწლეულების განმავლობაში იყო ეკოლოგიური სისტემისა და ბუნებრივი გარემოს ძირითადი პრობლემების წარმომშობი. არაერთი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის დასკვნებისა და რეკომენდაციის მიუხედავად შეუქცევადად მიმდინარეობდა ბუნების განადგურება. არასრულფასოვანი სატყეო პოლიტიკა, გაყიდვისთვის განწირული ქართული ტყეები (რომელიც მთელი სახელმწიფოს 40%-ს შეადგენს), ინვენტარიზაციის არარსებობა, მეტყევის, როგორც სპეციალობისა და პროფესიის უგულებელყოფა და სხვა მრავალი ფაქტორი უარყოფითად აისახა საერთოდ ბიოლოგიურ რესურსებზე, წყლის რაოდენობასა და ხარისხზე, ეკოლოგიური კატასტროფების მატებაზე, ფიტო და პედომასების განადგურებაზე.

ვიწრო ჯგუფების ხელში მოხვედრილმა ეროვნულმა სიმდიდრეებმა მდგრადი განვითარების ნაცვლად განადგურებული ეკოლოგიური სისტემები დაგვიტოვა. მართალია, სამოქალაქო სექტორის აქტივობის შემდეგ მეწარმე-ბრაკონიერები ისჯებოდნენ (თუ ათას ლარზე მეტი ღირებულების იყო ბუნებაზე მიყენებული ზარალი, ისმება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა) და ათასობით ლარს იხდიდნენ ჯარიმის სახით, ეს სახდელები ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდა დანგრეული ეკოლოგიის აღდგენას.

გარემოს დაცვის სამინისტრომ გაწეული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის საბოლოო სამუშაო ვერსია უკვე წარმოადგინა, რომელიც დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებგვერდზე. აღნიშნული ვერსიის საბოლოო განხილვა მოეწყობა მიმდინარე წლის 9 სექტემბერს, 17 საათზე (თბილისი, გ. გულუას 6). გარემოს დაცვის სამინისტრო საკონფერენციო დარბაზში ელოდება საზოგადოების წარმომადგენლებსა და ბუნებადამცველებს.

განხილული იქნება ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზნები, პრობლემები, ძირითადი პრინციპები, მდგრადი მართვა, ტყის დაცვითი ფუნქციები, ეკოლოგიური წონასწორობა, მართვა, ადმინისტრირება, პრიორიტეტები, დეგრადირებული ტყეების აღდგენა, გატყიანება, ტყითსარგებლობა, რესურსების რაციონალური გამოყენება, საკუთრება, ადაპტირების საკითხები, საკანონმდებლო ბაზა, ზედამხედველობა, საზოგადოების მიმართება და სატყეო განათლება-მეცნიერება.

# ზღვის სანაპიროზე ტალღების სიმაღლემ 3 მეტრი შეადგინა

მერი ნამორაძე

სინოპტიკოსთა პროგნოზი სტიქიის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ ზედმიწევნით გამართლდა. სპეციალისტები ამინდის გაუარესებას 4 სექტემბრის დღის მეორე ნახევრიდან ვარაუდობდნენ და სწორედ 4 სექტემბრის საღამოს 19.00 საათიდან საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის მხრიდან შემოიჭრა ბალტიის ციკლონთან დაკავშირებული ცივი ატმოსფერული ფრონტი, რამაც დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში ინტენსიური ნალექები გამოიწვია.

ინტენსიური წვიმა, წყალმოვარდნები და ზღვის ღელვა გუშინ გვიან ღამემდე გრძელდებოდა, რაც პროგნოზითაც იყო ნავარაუდევი. როგორც ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში ამბობენ, ყველაზე მაღალი ნალექიანობით ქობულეთი, ქედა და ჩოხატაური გამოირჩეოდა, სადაც გასული ღამის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობამ, შესაბამისად, 106, 90 და 72 მმ შეადგინა, რაც ძალიან ძლიერი ნალექების კატეგორიას განეკუთვნება. ძლიერ ქარი აღინიშნა ზღვის სანაპირო ზოლში, შიდა ქართლში, თბილისსა და მდინარე თერგის ხეობაში. ქარის მაქსიმალურმა სიჩქარემ ქობულეთში 20 და თბილისში 25 მ/წმ-ს მიაღწია.

ზღვის სანაპიროზე ტალღების სიმაღლემ საშუალოდ 3 მეტრი შეადგინა, რაც მაღალი სიმძლავრის შტორმს განეკუთვნება (5 ბალამდე). დასავლეთ საქართველოს უმეტეს მდინარეებზე წყლის დონეებმა მნიშვნელოვნად, დაახლოებით 1 მეტრამდე აიწია, თუმცა ჯერჯერობით საშიშ ნიშნულებამდე არ მიუღწევია.

გუშინ გარემოს დაცვის სამინისტრომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. აღნიშნული მოვლენების შედეგად ქედის რაიონში დაიტბორა ნათესები და დაზიანდა საავტომობილო გზების ცალკეული მონაკვეთები; დაიტბორა ოზურგეთის, ქობულეთისა და ბათუმის ცალკეული ქუჩები; ძლიერმა წვიმამ ბათუმის რამდენიმე ქუჩა დააზიანა. გადაუღებელი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარეებმა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები და სარდაფები დატბორა. როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულიამ განმარტა, სამაშველო სამუშაოები აჭარის რეგიონში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.



რაც შეეხება მდგომარეობას გურიასა და სამეგრელოში, უხვმა ნალექმა მდინარეების და ღელეების ადიდება გამოიწვია, თუმცა მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია. თბილისში ხანმოკლე, ინტენსიური ნალექების შედეგად დაიტბორა რამდენიმე ქუჩა და შეფერხდა ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წყალსატუმბი სამუშაოები ჩატარდა ოზურგეთის, ქობულეთისა და ბათუმის ცალკეულ ქუჩებზე. არსებული სინოპტიკური სიტუაციის ანალიზი აჩვენებდა, რომ 5 სექტემბრის გვიან საღამომდე დასავლეთ საქართველოში გაგრძელდებოდა ინტენსიური ნალექები, რაც არ გამორიცხავდა დასახლებული პუნქტების დატბორვას, მდინარეთა დონეების მნიშვნელოვან აწევასა და ცალკეულ მონაკვეთებზე წყალმოვარდნებს. შემდგომ დღეებში სპეციალისტები მეწყრული პროცესების გააქტიურებას არ გამორიცხავენ.

„პირველის ინფორმაციით, გურიაში გუშინ ძლიერი წვიმა გრძელდებოდა, თუმცა ადიდებული მდინარეების დონემ იკლო და დასახლებულ პუნქტებს დატბორვას საფრთხე არ დამუქრებია. გურიის სამაშველო სამსახურში კი განაცხადეს, რომ ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად გამოწვეული ზარალის შესახებ ინფორმაცია არ შესულა. სამაშველო სამსახურმა პირველი გამოძახება მამათის ოზურგეთთან დამაკავშირებელ გზაზე ჩამოწოლილი მეწყრის გამო მიიღო.

გამოძახების შესახებ შეტყობინება გუშინ არც იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შესულა. სამსახური მობილიზებული იყო, თუმცა ღამემ მშვიდად ჩაიარა.

# სასწრაფოს მძღოლები ქუჩაში ოჯახებით გამოვლენ?

მერი ნამორაძე

თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მძღოლები, რომლებმაც მოსალოდნელი საპროტესტო აქციების შესახებ რამდენიმე კვირის წინ განაცხადეს, „დანაპირების“ სისრულეში მოყვანას მომავალი კვირიდან აპირებენ. ამის შესახებ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მძღოლებმა და ტრანსპორტის პროფკავშირების თავმჯდომარე ლავრენტი ალანიამ განაცხადეს. ალანიამ ჟურნალისტებს არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

მისი ინფორმაციით, სასწრაფო დახმარების მძღოლებს მორიგეობა სამ დღეში ერთხელ უწევდათ და მინიმალური ანაზღაურების სახით 850 ლარს იღებდნენ, ახლა კი, მძღოლები ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ოთხ დღეში ერთხელ მორიგეობენ, მათი ხელფასები კი 480 ლარამდე შემცირდა.

აღნიშნულის გამო სასწრაფო დახმარების 280-მა მძღოლმა საინიციატივო ჯგუფი შექმნა, რომლებიც საკუთარ მოთხოვნებს წერილობითი ფორმით სასწრაფო დახმარების უფროს შალვა ბრაჭულს წარუდგენენ. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელ დავით სებუას თქმით კი მძღოლების საქმე ისეთივე საპასუხისმგებლოა, როგორიც ექიმების, რადგან პაციენტისა და ექიმების უსაფრთხოდ და სწრაფად გადაყვანაზე პასუხისმგებელნი სწორედ მძღოლები არიან.

მძღოლები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათი ხელფასები არ გაიზრდება და მინიმალური ანაზღაურება 850 ლარი არ გახდება, ისინი მომავალი კვირიდან საპროტესტო აქციებს დაიწყებენ და მათთან ერთად ქუჩაში მათი ოჯახის წევრებიც გამოვლენ; გამოძახებაზე არგასვლაზე პასუხისმგებლობას კი ტრანსპორტის პროფკავშირის წარმომადგენლები შალვა ბრაჭულს აკისრებენ. სასწრაფოს მძღოლები დახმარებისათვის თბილისის მერიასა და საკრებულოს მიმართავენ.

# „ყველანი ბურჯანაძის წინააღმდეგ?“

**„„სალომე ზურაბიშვილი ქალაქში დადის — ამგვარი სათაურებით აჭრელდა ამ დღეებში ქართული საინფორმაციო სააგენტოების საიტები. კანადის ქალაქ ტორონტოში ემიგრანტ ქალბატონებთან შეხვედრის შემდეგ, ქ-ნმა სალომემ სავაჭრო ცენტრ „კიდობანის“ ტერიტორიაზე გადმოინაცვლა და შიდამოვაჭრეებს შეხვდა. ალბათ, იქვე მოსიარულე მყიდველებსაც გაესაუბრებოდა ექს-საგარეო მინისტრი.**



კაცმა რომ თქვას, სალომე ზურაბიშვილიც მყიდველი იყო იმ დღეს, ოღონდ ხმებს ყიდულობდა. არა, რა თქმა უნდა, ამომრჩევლის ბანალურ მოსყიდვას არ ვგულისხმობთ, არამედ თავად სალომეს გამოჩენის ფაქტს სავაჭრო ცენტრში. განა ქართული არისტოკრატიის ამ მშვენიერი წარმომადგენლის ახლოდან დანახვა უდიდესი საჩუქარი არ იყო შიდა თუ გარე მოვაჭრეებისთვის?

დღეს კი ზურაბიშვილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მივიდა და პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაცია მოითხოვა. აქამდე ცსკ უარს ეუბნებოდა მშვენიერ მანდილოსანს, ახლა კი, ხარატიშვილის გადადგომის კვალობაზე, მოლოდინი ისევ გაჩნდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატ-ქალბატონების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ზოგადად ეს ნამდვილად სასიხარულოა, უფრო მეტიც, ქართველი ამომრჩევლის დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, შინაგანად მზად არის, რომ პრეზიდენტის პოსტზე ქალი იხილოს. განსაკუთრებით ქართველი მამაკაცი პოლიტიკოსების უმრავლესობის შეცდომების და უაზრო ქცევების ფონზე. ოღონდ ისიც არის, რომ ელექტორატი ნელ-ნელა პოლიტიკურად იზრდება და მხოლოდ ახალგაზრდობაში სიმპათიური გარეგნობის ან არისტოკრატიული წარმომავლობის გამო არავისთვის ხმის მიცემას არ აპირებს, მათ შორის არც ქალბატონებისთვის.

საქართველოს მოსახლეობას დღეს სათამაშოდ და გასართობად საქმე ნაკლებად აქვს. მას სჭირდება გამოცდილი და პროფესიონალი პოლიტიკოსი პრეზიდენტის პოსტზე, მისთვის მისაღები და რეალისტური საგარეო-პოლიტიკური კურსის გამტარებელი, ნაცებთან სამარცხვინო „კოჰაბიტაციის“ დამამთავრებელი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დამნიშნავი, რომელიც ნაცების ნაშთებს საბოლოოდ „გახვეტავს“ ქართული პოლიტიკიდან და ა.შ.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ბოლო პერიოდში ვერაფრით დაამახსოვრა თავი საქართველოს მოსახლეობას. საერთოდ გაუგებარია, რატომ სურს ასე დაჟინებით არჩევნებში მონაწილეობის მიღება, როდესაც ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს, რომ არათუ გამარჯვების, არამედ თუნდაც „საპრიზო“ ადგილზე გასვლის შანსი არ აქვს. ზურაბიშვილის რეიტინგმა მაქსიმუმს მიაღწია 2005 წელს, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შემდეგ, როცა ექს-მინისტრი სკანდალური მოწოდებებით გამოვიდა („ქაჯები მიდიან“ და ა.შ.). თუმცა, იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს სალომეს რეიტინგისგან მხოლოდ რამდენიმე „სტატისტიკური“ პროცენტილა დარჩა. შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნ ზურაბიშვილს შალვა ნათელაშვილის „წონით კატეგორიაში“ მოსახვედრადაც ბრძოლა დასჭირდება.

ეს თავად სალომემაც მშვენივრად იცის, ამიტომ არ სურს „შეელიოს“ საფრანგეთის მოქალაქეობას, რომელიც ხელს უშლის საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაში. სამაგიეროდ, ვითომდა „დემოკრატიის უზრუნველყოფის“ მიზნით, საქართველოს პარლამენტში დაიწყო საუბრები კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რის შემდეგაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავება შეეძლებოდათ. ამერიკის საელჩოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ღია ტექსტით მოუწოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ამგვარი ცვლილება შეეტანათ კონსტიტუციაში, რის შემდეგაც სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნებოდა.

თუმცა, ქ-ნი სალომე არც საკონსტიტუციო ცვლილებებს ელოდება და მოითხოვს საკუთარი კანდიდატურის რეგისტრაციაში გატარებას. აქაოდა, თუკი გავიმარჯვებ არჩევნებში, მერე მოვიხსნი საფრანგეთის მოქალაქეობასო. როგორც იტყვიან, „პოსლეზე“ უნდა რისკის გაწევა. პირდაპირ რომ ითქვას, ეს არის საქართველოს ამომრჩევლის და მოსახლეობის შეურაცხყოფა, როცა პრეზიდენტობის მოსურნე პოლიტიკოსს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დათმობაც არ სურს არჩევნების წინ. საქართველო „საგასტროლო“ ქვეყანა არ არის, სადაც „ლეგიონერი“ პოლიტიკოსები პრეზიდენტებად მუშაობენ ხანდახან.

ერთადერთი შედეგი, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობას ექნება, მისი რეგისტრაციის შემთხვევაში, არის ის, რომ ნინო ბურჯანაძეს, შესაძლოა, რაღაც რაოდენობის ხმები წაართვას (ალბათ არც ისე ბევრი). არ არის გამორიცხული, რომ ზურაბიშვილმა ნაცების კანდიდატ ბაქრაძეს და სახელისუფლებო მარგველაშვილსაც წაართვას გარკვეული ხმები, მაგრამ, სავარაუდოდ, მიზანმიმართულად იმუშავებს სწორედ ბურჯანაძის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნის ნაციონალების და „ოცნების“ სიამტკბილურ „თანაცხოვრებას“.

როგორც ცნობილია, ყბადაღებული „კოაბიტაცია“ დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკოსის და პოლიტიკური წრეების შეკვეთაა, რომლის შემსრულებლადაც იმუშავებს, მათ შორის, ს. ზურაბიშვილი. თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სულ უფრო მეტად და გადაჭრით უკუადგებს ამგვარ თავსმოხვეულ სქემებს და მოითხოვს პოლიტიკური სივრცის გაწმენდას ბოკერია-ლევან რამიშვილის მიმდევარი რადიკალი სექტანტებისგან (ე.წ. ნაცების ნაშთებისგან) და რუსოფობებისგან, რისი გაკეთებაც არაფრით არ სურს დღევანდელ ხელისუფლებას. მხოლოდ მოსახლეობის მკაფიო განაჩენს საპრეზიდენტო არჩევნების დროს შეუძლია დაასრულოს ეს პროცესი და ამით პოლიტიკურ სტაბილურობას ჩაუყაროს საფუძველი“.

**გოგი ვეკუა, პოლიტოლოგი**

**პირველი**

## უკრაინელმა მესაზღვრეებმა ქართული ოჯახი დააკავეს

უკრაინის ქალაქ დერგაჩში, მესაზღვრეებმა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტი აღკვეთეს, რა დროსაც, რუსეთიდან უკრაინაში ფეხით გადაპარვას, ქართული ოჯახი ცდილობდა.

ხარკოვის სასაზღვრო კონტროლის დანაყოფის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქართველი მამაკაცი, თავის ცოლთან და არასრულწლოვან შვილთან ერთად, ცდილობდა, უკრაინელი მესაზღვრეებისთვის, თავი, რუსეთის საზღვრისპირა ტერიტორიის მცხოვრებ გლეხად მოეჩვენებინა.

სინამდვილეში ისინი პატრულს უთვალთვალებდნენ და როდესაც ჩათვალეს, რომ ახლოს არავინ არ იყო, საზღვარზე გამავალი რკინიგზისკენ სირბილით გაეშურნენ, თუმცა, უკრაინელმა მესაზღვრეებმა ისინი მაინც შეამჩნიეს.

ოჯახი უკრაინული სასამართლოს წინაშე წარსდგება.

**ნიუსპრესი**



## დავით ბაქრაძემ წყალტუბოში საარჩევნო შტაბი გახსნა

„ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ წყალტუბოში საარჩევნო შტაბი გახსნა. „პირველის“ ადგილობრივი კორესპონდენტის ცნობით, გუშინვე ბაქრაძე წყალტუბოს სპორტის სასახლეში შეკრებილ ამომრჩევლებს შეხვდა და მათ საარჩევნო პროგრამა გააცნო. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, მისი გამარჯვების შემთხვევაში ის ქვეყნის მშენებლობის კუთხით „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს დაწყებულ კურსს გააგრძელებს. ბაქრაძე წყალტუბოს მოსახლეობას ქალაქისათვის საკურორტო ფუნქციის დაბრუნებას დაჰპირდა. პრეზიდენტობის კანდიდატს წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი აკაკი ბობოხიძე ახლდა.

**პირველი**

## პრეზიდენტის მყინვარწვერზე ლაშქრობა უამინდობის გამო შეფერხდა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მყინვარწვერზე ლაშქრობა უამინდობის გამო შეფერხდა. პრეზიდენტი სამთო გამყოლთა ასოციაციის მოწვევით მყინვარწვერის დასალაშქრად გაემგზავრა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 5047 მეტრია. 3-დღიანი მოგზაურობის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე გამოცდილ მთასვლელთან ერთად მყინვარის გარშემო მთები და პლატო დალაშქრა. ლაშქრობაში რუსი საზოგადო მოღვაწე ანდრეი ილარიონოვი და გოგა ხაჩიძე მონაწილეობდნენ.

უამინდობამ და მისმა თანმხლებმა ქარიშხალმა, რომელმაც ლაშქრობის მონაწილეებს 4500 მეტრის სიმაღლეზე მოუსწრო, ლაშქრობა შეაფერხა, თუმცა მიუხედავად დაბრკოლებებისა, ამინდის გამოსვლასთან ერთად ის უახლოეს დღეებში დასრულდება.

**პირველი**


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის—ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საქართველო ხორვატიასაც ეომა

**საქართველო – ხორვატია 77:76**
**(15:17; 18:17; 19:16; 27:24)**

**საქართველო**: მეტრეველი, ფხაკაძე, სანაძე, ბურჯანაძე (2ქ), ცინცაძე (25ქ,5პ), შერმადინი (10ქ,9მ), ჰიკმანი (20ქ), მარკოიშვილი (4ქ), ფაცაცია, სანიკიძე (15ქ,7მ), ლეჟავა (3ქ), ცქიტიშვილი (3ქ)

**ხორვატია**: ტომიჩი (7ქ,7პ), ანდრიჩი, დრაპერი (16ქ), ბოგდანოვიჩი (15ქ), სარიჩი (12ქ), რუდეზი, უკიჩი (6ქ), სიმონი (9ქ), მარკოტა (10ქ), მ.დელასი, ზორიჩი (2ქ), ა.დელასი

21 წამი რჩებოდა, როდესაც ვიქტორ სანიკიძემ სამქულიანი ჩააგდო და საქართველო 1 ქულით დააწინაურა. შემდეგ იყო ტომიჩის 2-ქულიანი – წინ უკვე ხორვატები გავიდნენ. დარჩენილი იყო 7 წამი, სამწუხაროდ, მატჩის გმირად გახდომა გიორგი ცინცაძეს არ ეწერა – მან ბოლო სროლა ვერ მოასწრო და ჩვენები დამარცხდნენ. არადა, ცინცაძემ მთელი მატჩი ჩინებულად ითამაშა, ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო 25 ქულით, მაგრამ...

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო ორივე გუნდისთვის. საქართველოც და ხორვატიაც ერთმანეთის კონკურენტები არიან შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის. ამიტომაც ამ მატჩს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა.

თამაში კარგად ვერ დავიწყეთ. მართალია, დაცვაში ყურადღებით ვირჯებოდით, მაგრამ კოკოშკოვის შეგირდები შეტევაში აშკარად ჩქარობდნენ და მეტოქე მთელი მეოთხედის მანძილზე მდევრის როლში გვამყოფებდა. სიტუაცია მოედანზე რიკი ჰიკმანის გამოსვლამ გამოასწორა, რომელმაც რამდენჯერმე ზუსტად ისროლა და მეოთხედის ბოლოს ანგარიში გაათანაბრა – 15:15. დარჩენილ წამებში მეტოქის შეტევა ვერ შევაჩერეთ და ათწუთეული ორი ქულით დავთმეთ – 15:17.

ისევ ცუდად დავიწყეთ მეორე მეოთხედი. ჩვენებმა ვერაფერი მოუხერხეს დრეპერის თამაშს, რომელმაც 2 სამქულიანი ჩაგვიგდო და ხორვატებმა უპირატესობა გაზარდეს. თაიმის ბოლომდე ასე გრძელდება – ბალკანელები 5-8 ქულით სულ წინ იყვნენ, მაგრამ არ ნებდებოდა ჰიკმანი, რომელმაც პირველ ტაიმში 15 ქულას მოუყარა თავი. მის აქტიურ თამაშს მხარი ცინცაძემ და შერმადინმაც აუბა და 49 წამით ადრე ტაიმის დასრულებამდე წინაც გავედით – 33:32.

იქვე ხორვატებმა 3-ქულიანით გვიპასუხეს, სანიკიძეს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მხოლოდ ერთი ჯარიმა გამოიყენა. მეტოქეს კიდევ ჰქონდა დრო კიდევ უფრო გაეზარდა სხვაობა, თუმცა დაცვაში ჭკვიანური თამაშით ჯარიმა „ავკიდეთ“. შეტევისთვის 7 წამი დაგვრჩა. ამ დროში სამჯერ ვესროლეთ, მაგრამ ტაიმის საჩვენოდ დასრულება მაინც ვერ მოვახერხეთ.

მესამე მეოთხედი ხორვატთა სამქულიანით დაიწყო, მაგრამ ამის შემდეგ დაცვაში კარგად გავისარჯეთ, მეტოქეს სამწუთ-ნახევარი ბურთი არ ჩავაგდებინეთ, შეტევაში კი იმდენი მოვახერხეთ, რომ 5 ქულით დავწინაურდით – 45:40.

სარიჩმა წინ გასვლა არ გვაცადა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ცინცაძემ მეოთხედის ბოლოს 2-ქულიანი უპირატესობა დაგვიბევა – 52:50.

ბოლო მეოთხედის დასაწყისშიც სულ წინ ვიყავით, მაგრამ ხორვატებმა 2-წუთიანი მოდუნება არ გვაპატიეს და 6 ქულით უკვე ისინი გალიდერდნენ. დეფიციტის აღმოფხვრა მალევე შევძელით და თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა. ბოლო წამებზე სიტუაცია დაიძაბა და სამწუხაროდ, ჩვენს სასიკეთოდ არ დასრულდა.

ცინცაძის გარდა შესანიშნავი იყო ჰიკმანი, რომელმაც ჩვენებს 20 ქულა შესძინა, შერმადინს ისევ ერთი მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე – 10 ქულა, 9 მოხსნა. სამწუხაროდ, ჩვეულად ვერ იჩაუქეს სანიკიძემ და განსაკუთრებით, მარკოიშვილმა.

მოხსნებში თანაბარი მაჩვენებელი გვქონდა, დაკარგვების მხრივ უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, მაგრამ მეტოქემ პასებში დაგვჯაბნა. თუმცა, მარცხის მიზეზი უფრო ზუსტად ნასროლი სამქულიანები იყო, რომელშიც ხორვატებმა 11:7 გვაჯობეს.

# თემურ ქეცბაია: ახალგაზრდა ბიჭები გვყავს, რომლებსაც ლანძღვა-გინება კი არა, გვერდში ამოდგომა სჭირდებათ

**საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გასამართი მატჩის წინ პრესკონფერენცია გამართა. საქართველოს ეროვნული ნაკრები ხვალ, 6 სექტემბერს, „დინამო არენაზე“ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშს „მამლებთან“ ჩაატარებს. შეხვედრა 22:15 საათზე დაიწყება.**



***– რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ ხვალ? ითამაშებთ თუ არა სრული რესურსებით?***

– ჩვენთვის ყველა თამაში მნიშვნელოვანია. ფინეთთან მატჩში მე-3 ადგილის ბედი წყდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალინდელ მატჩში ძალებს დავზოგავთ. არა მგონია, ეს თამაში ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მომდევნო. გუნდი მინდორზე საბრძოლოდ გავა.

***– ესპანეთთან მატჩში ნაკრებმა ღრმა დაცვიდან ითამაშა და შედეგის მიღწევამდე სულ ცოტა დააკლდა.***

– ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ხვალ მოედანზე გასვლას და შეტევითი ფეხბურთის თამაშს არ ვაპირებთ. ვეცდებით, ორგანიზებულად ვითამაშოთ. ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებით და პირველ რიგში დაცვის ხაზის გაძლიერებაზე უნდა ვიფიქროთ, შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება. ჩვენს შანსს დაველოდებით.

***– საფრანგეთში ძალიან ხშირად აკრიტიკებენ ბენზემას და მხარს ჟინიაკსა და ჟირუს უჭერენ. თქვენ რა აზრის ხართ ამის შესახებ?***

– არ ვიცი. მე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი არ ვარ. წარმოიდგინეთ, ბენზემა „რეალ მადრიდში“ თამაშობს, იმას აკრიტიკებენ და ჩვენ რაღა ვთქვათ.

***– უფრო ხომ ვერ დააკონკრეტებდით, როგორ ითამაშებთ ხვალ?***

– დაცვაში შეცდომები არ უნდა დავუშვათ და დაველოდოთ ჩვენს შანსს, რათა მომენტები შევქმნათ და შედეგს მივაღწიოთ. რეალობასთან ახლოს ვართ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებით. თანაც ახლა ჩვენს ნაკრებს რთული პერიოდი უდგას. რამდენიმე წარუმატებელი მატჩი ჩავატარეთ. დიდი ხანია თბილისში არ გვითამაშია და ამ წარუმატებლობის შემდეგ გვიწევს შინ, საფრანგეთის ნაკრებთან დაპირისპირება. წარმოიდგინეთ, რამდენად ძნელია ეს. დავამტკიცეთ, რომ, ვისაც არ უნდა დავუპირისპირდეთ თბილისში, კარგად თამაში შეგვიძლია, თუნდაც ესპანეთის ნაკრები ავიღოთ მაგალითად.

***– ნაკრები შედარებით დიდი ხანია, რაც შეიკრიბა. რას ფიქრობთ, არის გუნდი მზად ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად იმისთვის, რომ ეს ამოცანა გადაწყვიტოს? ვგულისხმობ ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავებას?***

– რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, შეკრების დრო ნაკრებისთვის საკმარისი არასდროს არის. ორშაბათს შევიკრიბეთ და პირველი შემთხვევაა, როცა სამშაბათს ყველა ადგილზე იყო. ბიჭები ემზადებიან. ყველაფერს გააკეთებენ შედეგის მისაღწევად. ძალიან კარგი შანსი გვაქვს, რომ მე-3 ადგილზე გავიდეთ. ადვილი, რა თქმა უნდა, არ იქნება. ადვილი არც არასდროსაა და სანაკრებო დონეზე – განსაკუთრებით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საფრანგეთში როცა ჩავედით, წინა დღეს შევიკრიბეთ პრობლემების გამო. მუდამ ვიზაზე გვაქვს პრობლემა. ამათ როცა უნდა მაშინ ჩამოდიან და მიდიან. არ ვიზის, არც არაფრის პრობლემა არ აქვთ.

***– შეუძლია რიბერის, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს?***

– რიბერი უკვე გახდა ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი. მის თამაშს და პროგრესს რომ ვუყურებ, ყველანაირი შანსი აქვს ევროპის საუკეთესო მოთამაშეც გახდეს.

***– რიბერი მარცხენა ფლანგზე თამაშობს, ჩვენი მარჯვენა მცველი ლობჟანიძე კი უთამაშებელია. ეს მგონი დიდი პრობლემაა... ორ კაცს ხომ არ დაუყენებთ მას?***

– მოწინააღმდეგის შემადგენლობაში იმდენი კარგი ფეხბურთელია, ყველას რომ ორ-ორი ფეხბურთელი დავუყენო, ჩვენ არაფერი დაგვრჩება. საფრანგეთის ნაკრები მარტო რიბერი არ არის. ჩვენს გუნდში კი უთამაშებელი მხოლოდ ლობჟანიძე არ არის. მაგრამ ესენი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან. იმედი მაქვს, მოედანზე გავლენ და ყველაფერს გააკეთებენ შედეგის მისაღწევად. იმედია გულშემატკივარიც მოვა სტადიონზე და მხარს დაგვიჭერს. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის დიდი გამოცდილება და გამოცდა იქნება. თამაშების მოგება საფრანგეთის ნაკრებსაც უჭირს უკვე. არ არის ასეთი ადვილი. ფეხბურთი ძალიან გართულდა. ახალგაზრდა ბიჭები გვყავს, რომლებსაც ლანძღვა-გინება კი არა, გვერდში ამოდგომა სჭირდებათ. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ მე-3 ადგილი არაფერი არ არის, მაგრამ ეს ასე არაა. ჩვენთვის ეს დიდი მიღწევაა. გუნდი შემდეგი ეტაპისთვის უკეთესად მოემზადება. 2-3 წელიწადში ახალგაზრდა ფეხბურთელები გაიზრდებიან. იმედია, უკეთეს გუნდებში ითამაშებენ და შეიქმნება ის გუნდი, რომელიც ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებს.

# საქართველოს მოქალაქეები სირიას 8 სექტემბერს დატოვებენ



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სირიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებისთვის, სამშობლოში დასაბრუნებლად, ბეირუთი-სტამბოლი-თბილისის მიმართულებით, 8 სექტემბრით დათარიღებული ბილეთები შეიძინა. სამინისტროს ინფორმაციით, სირიიდან საქართველოში 18 მოქალაქე დაბრუნდება, რომლებმაც დახმარების თხოვნით საგარეო უწყებას მიმართეს.

„2013 წლის 29 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილი გახდა, რომ სირიის არაბთა რესპუბლიკაში იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეები. 30 აგვისტოს საქართველოს 18 მოქალაქემ განაცხადა თანხმობა სამშობლოში დაბრუნებაზე და ითხოვა დახმარება, ბეირუთიდან თბილისის მიმართულებით ბილეთების შეძენაში.

30 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეებისთვის 2013 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული ავიაბილეთები შეიძინა ბეირუთი-ქაირო-თბილისის მიმართულებით, თუმცა მათ თავი შეიკავეს 1 სექტემბერს გამომგზავრებისგან. სამინისტრომ ბილეთები ამჯერად 5 სექტემბრისთვის დაჯავშნა, თუმცა სირიის დატოვებაზე მოქალაქეებისგან კვლავ უარი მიიღო, რამაც ორგანიზაციული სახის სირთულეები შეუქმნა საგარეო უწყებას.

მიუხედავად ამისა, სამინისტრომ და საქართველოს საელჩომ ქ. კაიროში, მაქსიმალურად გამოიყენა დახმარების დროულად აღმოჩენისთვის არსებული ყველა რესურსი და შედეგად, საქართველოს მოქალაქეები 8 სექტემბერს საქართველოში გამოემგზავრებიან“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# აშშ ელჩი საქართველოს მთავრობას მადლობას უხდის



საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი საქართველოს მთავრობას, სირიის კრიზისთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებებისთვის მადლობას უხდის.

ამის შესახებ ნორლანდმა ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ სტუმრობისას, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, სადაც ის სამეთაურო-საშტაბო სწავლებას „დიდგორი 2013“-ის მიმდინარეობას დაესწრო. „პრეზიდენტმა ობამამ გარკვევით განაცხადა, თუ რა სტადიაში ვიმყოფებით. ჩვენ ველოდებით კონგრესის გადაწყვეტილებას, ასეთ საკითხებს ჩვენთან კონგრესი წყვეტს, მაგრამ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვთქვა იმ განცხადების გამო, რომელიც საქართველოს მთავრობამ გააკეთა სირიის კრიზისთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობამ გარკვევით თქვა, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება ეს არის აღმაშფოთებელი შემთხვევა და სირიის ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის“, – განაცხადა ნორლანდმა.

**მედიანიუსი**

# ევრობასკეტ–2013: სენსაციური პირველი ტური

**სლოვენიაში ევრობასკეტ 2013-ის პირველი ტურის მატჩები გაიმართა და რამდენიმე სენსაციაც დაფიქსირდა. მთავარი მოულოდნელობა A ჯგუფში მოხდა, სადაც ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი საფრანგეთის ნაკრები გერმანიასთან დამარცხდა.**

**საფრანგეთი-გერმანია 74:80**

**საფრანგეთი**: ტონი პარკერი (18ქ), მიკაელ ჟელიბალი (11ქ);

**გერმანია**: რობინ ბენზინგი (19ქ), ლუკა შტაიგერი (14ქ), ნილს გიფი (14ქ, 5მ), ჰეიკო შაფარციკი (12ქ, 11პ);

ამავე ჯგუფში ლიდერების გარეშე დარჩენილმა ბრიტანელებმა საკმაოდ ძლიერ ისრაელს ოვერტაიმში აჯობეს.

**ისრაელი-დიდი ბრიტანეთი 71:75 (ოტ)**

**ისრაელი**: აფიკ ნისიმი (17ქ), ომრი კასპი (13ქ,11მ), ლიორ ელიაჰუ (11ქ,14 მ);

**დიდი ბრიტანეთი**: კირონ აჩარა (18ქ,13მ), კაილ ჯონსონი (22ქ,6 მ);

შედარებით თანაბარი დონის გუნდების დაპირისპირებაში კი უკრაინამ ბელგია ერთი ქულით დაამარცხა.

**უკრაინა-ბელგია 57:56**

**უკრაინა**: იგორ ზაიცევი (16ქ), სერგეი გლადირი (11ქ,7 მ);

**ბელგია**: კრისტოფ ბეგინი (14ქ ), ჯონათან ტაბუ (13ქ);

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 1 | 1 | 0 | 80:74 | 2 |
| 2.დიდი ბრიტანეთი | 1 | 1 | 0 | 75:71 | 2 |
| 3.უკრაინა | 1 | 1 | 0 | 58:57 | 2 |
| 4.ბელგია | 1 | 0 | 0 | 57:58 | 1 |
| 5.ისრაელი | 1 | 0 | 0 | 71:75 | 1 |
| 6.საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 74:80 | 1 |

B ჯგუფში დაფიქსირებულ შედეგებზე სენსაციური ნაკლებად ითქმის თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სამივე დაპირისპირებაში წყვილში აუტსაიდერად შერაცხულმა გუნდმა იმარჯვა.

**ლატვია-ბოსნია 86:75**

**ლატვია**: როლანდს ფრეიმანსი (24ქ), რიკარდს კუსკისი (13ქ );

**ბოსნია**: მირზა ტელეტოვიჩი (18ქ,8მ), ელმედინ კიკანევიჩი (16ქ,7მ);

**მაკედონია-ჩერნოგორია 80:81**

**მაკედონია**: ბო მაკალები (23ქ), დამიან სტოიანოვსკი (19ქ);

**ჩერნოგორია**: სუად სეჰოვიჩი (16ქ), ტაირის რაისი (16ქ,5პ);

**ლიტვა-სერბეთი 56:63**

**ლიტვა**: მანტას კალნიეტისი (17ქ), დარიუს ლავრინოვიჩი (12ქ);

**სერბეთი**: ნენად კრსტიჩი (20ქ,9მ), ნემანია ნედოვიჩი (14ქ), ნემანია ბიელიცა (13ქ,8მ);

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლატვია | 1 | 1 | 0 | 86:75 | 2 |
| 2.სერბეთი | 1 | 1 | 0 | 63:56 | 2 |
| 3.მონტენეგრო | 1 | 1 | 0 | 81:80 | 2 |
| 4.მაკედონია | 1 | 0 | 1 | 80:81 | 1 |
| 5.ლიტვა | 1 | 0 | 1 | 56:63 | 1 |
| 6.ბოსნია | 1 | 0 | 1 | 75:86 | 1 |

C ჯგუფში, როგორც უკვე ვწერდით საქართველოს ნაკრებმა პირველ შეხვედრაში პოლონეთი 17 ქულით დაამარცხა. მოსალოდნელი შედეგები დაფიქსირდა სხვა მატჩებშიც, თუმცა სალოვენიელებმა ჩეხები მხოლოდ 2 ქულით – 62:60 დაამარცხეს, რაც ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის მნიშვნელოვანი მესიჯია: ან ჩეხეთია ძალიან ძლიერი, ან სლოვენია არ განეკუთვნება გრანდებს.

ჯგუფის მესამე მატჩში ყველაფერი ლოგიკას დაექვემდებარა. ტურნირის უპირველესმა ფავორიტმა ესპანეთმა ხორვატია 28 ქულის სხვაობით – 68:40 გაანადგურა. ბოლო მეოთხედის წინ ხორვატები ღირსეულად მარცხდებოდნენ, თუმცა პერიოდი 3:19(!) წააგეს და შეხვედრაც გამანადგურებელი სხვაობით დათმეს.

**სლოვენია-ჩეხეთი 62:60**

**სლოვენია**: იურ ბალაჟიჩი (11ქ,8მ), გორან დრაგიჩი (8ქ,9მ);

**ჩეხეთი**: იან ვესლი (17ქ,7მ), ტომას სატორანსკი (12ქ).

**ესპანეთი-ხორვატია 68:40**

**ესპანეთი**: ფერნანდესი (15ქ,8მ), მარკ გასოლი (14ქ,11მ ) ხოსე კალდერონი (13ქ ), რიკი რუბიო (7ქ,7მ );

**ხორვატია**: ბოგდანოვიჩი (12ქ,7მ)

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 68:40 | 2 |
| 2.საქართველო | 1 | 1 | 0 | 84:67 | 2 |
| 3.სლოვენია | 1 | 1 | 0 | 62:60 | 2 |
| 4.ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 60:62 | 1 |
| 5.პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 67:84 | 1 |
| 6.ხორვატია | 1 | 0 | 1 | 40:68 | 1 |

საქართველოს ნაკრების გუშინდელი მატჩის შედეგი ამ ცხრილში გათვალისწინებული არ არის.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა D ჯგუფშიც: ფინელებმა მოულოდნელად თურქებს სძლიეს. ასევე წააგო ფავორიტად მიჩნეულმა ეუსეთმაც, ბერძნებმა კი შვედები გაანადგურეს.

**თურქეთი-ფინეთი 55:61**

**თურქეთი**: ერდენ არსლანი (12ქ,5პ), ქერემ გიონლუმი (11ქ,7მ);

**ფინეთი**: პეტრი კოპონენი (12ქ,9მ), სასუ სალინ (12ქ,4მ);

**შვედეთი-საბერძნეთი 51:79**

**შვედეთი**: ჯეფრი ტეილორი (16ქ);

**საბერძნეთი**: ვასილის სპანულისი (13ქ), იანის ბურუსისი (12ქ);

**რუსეთი-იტალია 69:76**

**რუსეთი**: ალექსეი შვედი (17ქ,5პ), სერგეი მონია (13ქ), ვიტალი ფრიძონი (12ქ);

**იტალია**: ლუიჯი დატომე (25ქ,8ქ), მარკო ბელინელი (16ქ,5პ), პიეტრო არადორი (13ქ);

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 79:51 | 2 |
| 2.იტალია | 1 | 1 | 0 | 76:69 | 2 |
| 3.ფინეთი | 1 | 1 | 0 | 61:55 | 2 |
| 4.თურქეთი | 1 | 0 | 1 | 55:61 | 1 |
| 5.რუსეთი | 1 | 0 | 1 | 69:76 | 1 |
| 6.შვედეთი | 1 | 0 | 1 | 51:79 | 1 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ნუგზარ კვაშალი მუშთაიდის პარკში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი




8 სექტემბერს ანსამბლ „ივერიის“ უცვლელი წევრი ნუგზარ კვაშალი როკფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. „როკი ძალადობის წინააღმდეგ“ – ასეთია ფესტივალის სახელწოდება, რომელსაც წარმოადგენს თბილისის მერია, მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი, ასოციაცია „ჯადოსნური ხმები“ ინტერნეტჟურნალ „ვარსკვლავებისა“ და ინტერნეტტელევიზია „სტარს.ჯი“-ს მხარდაჭერით.

როგორც ნუგზარ კვაშალმა „ახალ თაობას“ განუცხადა, თავდაპირველად როკფესტივალი 31 აგვისტოს იყო დაგეგმილი, თუმცა ორგანიზატორებმა მოსამზადებელი სამუშაოები ვერ დაასრულეს და ამის გამო ფესტივალი 8 სექტემბრისთვის გადაიტანეს.

– თავიდან მუშთაიდში 31 აგვისტოს უნდა დაგვეკრა, მაგრამ ორგანიზატორებმა ვერ მოასწრეს მოსამზადებელი სამუშაოების დასრულება, ამიტომ ფესტივალმა ერთი კვირით გადაიწია. ასე რომ, მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდება როკფესტივალი „როკი ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც მიზნად ისახავს 2008 წლის აგვისტოს საბედისწერო მოვლენების წინააღმდეგ აქციას, რათა კიდევ ერთხელ ხმა ავიმაღლოთ ყოველგვარი ომისა და ძალადობის წინააღმდეგ, როგორც ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, ასევე მთელ მსოფლიოში, – განაცხადა ნუგზარ კვაშალმა.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ბაკურ ბურდული, სოლიო-კორკოტა, ზურგი, ხომლი, ვიტალი სავანელი (გორი), ბლუ მობილ ბენდი, ლენდ მარკი, სმაილი, ზე, ინერ ვოის, ლედი ჰეროინი, ლოუდ სპიკერსი, ზედ ფორ ზულუ, ბელლოუნ შათერსი, პერფექტ სტრენჯერსი, თრეველი (ხაშური), გლობალ ექსპრესსი, დუტა სხირტლაძე და როკჯგუფი, კაკო ვაშალომიძე და როკჯგუფი.

იდეის ავტორი ნუგზარ კვაშალი აცხადებს, რომ ფესტივალი ითვალისწინებს 70-იანი და 80-იანი წლების როკის ფანების შეკრებას და მათ ძალისხმევას ომის წინააღმდეგ – „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

– ყველანი კიდევ ერთხელ გავერთიანდებით და მუშთაიდში შეკრებილ მსმენელს მოვუწოდებთ, სიყვარულმა გაგვაერთიანოს, რადგან მთავარი ამქვეყნად ნამდვილად სიყვარულია. რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას ფესტივალში, როგორც იცით, აქტიურად ვუკრავ, ვცდილობ, დიდხანს დავრჩე ახალგაზრდა და სიბერეს არ შევუშინდე, ამიტომაც ჩემს მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე, ჩავატარო როკფესტივალი, რომელშიც როგორც ახალგაზრდა, ასევე კარგად ნაცნობი როკმუსიკოსები მიიღებენ მონაწილეობას, – განმარტა ნუგზარ კვაშალმა.

# დმანისის საზაფხულო სკოლამ პრეზენტაცია გამართა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე „დმანისის საზაფხულო სკოლის“ პრეზენტაცია გამართა.

„ახალ თაობას“ ეროვნულ მუზეუმში განუმარტეს:

– აღნიშნულ პროექტს საქართველოს ეროვნული მუზეუმი უკვე მეორე წელია, რაც შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს. წელს, „დმანისის საზაფხულო სკოლა“ 26 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობს. ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მიზანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიცაზია, ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობის დამყარება.

პროექტში მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი და მეცნიერი. საგანმანათლებლო პროექტი ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას საქართველოს ისტორიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, არქეოლოგიაში, ეთნოლოგიასა და ნუმიზმატიკაში. საზაფხულო სკოლა ასევე მოიცავს ვორკშოპებსა და შემეცნებითი ტურებს საქართველოს მუზეუმებსა და ისტორიულ ძეგლებზე. გათვალისწინებულია სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმების ჩვენება და დისკუსიები. საზაფხულო სკოლის დასკვნით საფეხურზე მონაწილეები მინიპროექტების პრეზენტაციებს წარმოადგენენ.

– დმანისის საზაფხულო სკოლის სასწავლო პროგრამით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. რაც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: პროექტი მსოფლიოში ცნობილ დმანისის არქეოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ბაზაზე მიმდინარეობს, საზაფხულო სკოლაში თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას უძღვებიან საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცდილი სპეციალისტები, ქართველ მეცნიერთა დახმარებითა და უშუალო ხელმძღვანელობით საზაფხულო სკოლის მსმენელებს საშუალება ეძლევათ ეზიარონ ქართველოლოგიურ მეცნიერებათა მეთოდებსა და უახლეს მიღწევებს, – ამბობენ ეროვნულ მუზეუმში.

პროექტი ხელს უწყობს მონაწილეთა სასწავლო და შემოქმედებით ურთიერთობას, ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, საქართველოს მუზეუმებში დაცული მატერიალური კულტურის წარმოჩენასა და საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარებას.

სკოლის კურსდამთავრებულებს კი სერტიფიკატები გადაეცემათ.

დმანისის საზაფხულო სკოლის წარდგენის შემდეგ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი და ყაზახეთის საელჩო საქართველოში მასპინძლობს სერგეი შჩეგოლიხინის ყაზახეთის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ გამოფენას „ჩემი ყაზახეთი“.

– სერგეი შჩეგოლიხინი პროფესიით მხატვარ-გამფორმებელია, რომელიც პეიზაჟებსა და პორტრეტებს ქმნის. საკუთარმა ხედვამ და მრავალფეროვანმა გამოცდილებამ იგი ერთ-ერთ საინტერესო მხატვრად ჩამოაყალიბა. ავტორის შემოქმედება გამოირჩევა ემოციური და ფერადოვანი დახვეწილობით, მისი ნამუშევრები ფერის განსაკუთრებული ინტენსივობით ხასიათდება. გაშლილი ფართო პანორამები და მხატვრის ორიგინალური ხედვა მის ტილოებზე ძველისა და ახლის კონტრასტს, აგრეთვე ყაზახეთის, საქართველოს თუ რუსეთის ურბანულ თემაზე შექმნილ სურათებს აცოცხლებს, – აცხადებენ ეროვნულ მუზეუმში.

გამოფენას თავად ავტორიც დაესწრება. მისი ნამუშევრების ექსპოზიცია თბილისის ისტორიის მუზეუმში 15 სექტემბრის ჩათვლით დარჩება, გამოფენის გახსნაზე დასწრება კი თავისუფალია.

# ქრისტიანული პოეზიის III ფესტივალი – „წმინდა ნინოს ჯვარი“

**4-5 სექტემბერს უკვე მესამედ გაიმართა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.**




4 სექტემბერს ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი), სადაც მონაწილეებმა წაიკითხეს საფესტივალოდ წარმოდგენილი ლექსები. გამარჯვებულთა დაჯილდოება და საფესტივალოდ გამოცემული წიგნების: „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში“ და ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ რიგით მესამე კრებულის წარდგინება გაიმართა 5 სექტემბერს – საქართველოს მწერალთა სახლში.

ჟიურიმ: მამა ილია ჩიკვაიძე, გენო კალანდია, მარიამ წიკლაური, ზაალ ბოტკოველი, გივი ჩიღვინაძე

ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ელგუჯა ლებანიძე და ელდარ ჭიჭიაშვილი.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დაჯილდოვა: ლალი ჯაფარაშვილი, ანტონ გაგუა, ალექსი გოგბერაშვილი, ფარნაოზ რაინაული, მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი, ზურაბ ყოლბაია (იმიერი), იამზე არველაძე-ხეცურიანი, ცისანა თვალიაშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე ლია დაუშვილი) ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა როსტომ ჩხეიძე.

ასევე, ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დაჯილდოვდა – ქართული პოეზიის მშვენება ზინა სოლომნიშვილი.

ფესტივალის ძირითადი მხარდამჭერი გახლდათ საქართველოს კულტურისა ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მხარდამჭერები: თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, საქართველოს მწერალთა სახლი.

# ხერთვისის ციხის რეაბილიტაცია იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იყო. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ციხე მეფე ერეკლე II-მ აიღო. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ხერთვისის ციხე რუსეთის ჯარებმა გაათავისუფლეს. ხერთვისი ბევრჯერ გადაუკეთებიათ, შეიმჩნევა ადრინდელი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენა. ციხე შედგება ციტადელისა და გალავნისაგან. ციტადელი მთის ვიწრო, კლდოვან ქიმზეა აღმართული, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიუდგომელია. წყლით მარაგდებოდა ჩრდილო-დასავლეთით გაყვანილი გვირაბის საშუალებით. მიჩნეულია, რომ ხერთვისი ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. მთელი ანსამბლი ისეა შერწყმული კლდესთან რომ მას მნახველი აღტაცებაში მოჰყავს. საუკუნეთა მანძილზე სამხრეთ საქართველოზე გამავალი მაგისტრალური გზა მტკვრის ხეობას მიჰყვებოდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ყველა ეპოქის მესვეურთ ეზრუნათ მის დაცვა-გამაგრებაზე; ამის შედეგია მრავალი ციხისა და ციხე-ქალაქის ნანგრევები, რომლებიც გაფანტულია მთელი ამ გზის გაყოლებაზე. ამ ნანგრევებში გამოირჩევა ხერთვისიც. ხერთვისის ანსამბლი მრავალფეროვანია. დღესდღეობით შემორჩენილი ნაგებობები X-XIV საუკუნეებით თარიღდება. უფრო გვიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ხერთვისი ოსმალებს ეკავათ, იგი ისევ ქალაქად იხსენიება. დღეისათვის მიწის ზემოთ ანტიკური ქალაქის ნანგრევები აღარ ჩანს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაშთები მიწის ქვეშ იმალებოდეს. უკანასკნელ პერიოდში ციხე ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: ერთი იყო ციტადელი, მეორე – ციხის გალავანი. პირველი მათგანი მაღლაა, მეორე მას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან აკრავს. მართალია, ციტადელი თავისთავად დიდია, მაგრამ გალავანს გაცილებით ვრცელი ფართობი უკავია. ძლიერი დაზიანების გამო არ ხერხდება გალავნის კედლების სიმაღლის დადგენა. ციტადელს მთის ვიწრო კლდოვანი ქიმი უკავია და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიუდგომელია. მას იცავს მაღალი, თითქმის შვეული კლდე, ხოლო იქ, სადაც ფეხის მოკიდება შეიძლება, კედელია აღმართული. არ ჩანს, თუ როგორ იყო გადაჭრილი ციხის წყლით მომარაგების საკითხი ადრეულ საუკუნეებში. მოგვიანებით კი ციტადელის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთზე მდინარეზე ჩასასვლელად გვირაბი მიუშენებიათ. მოქმედი ციხე ხშირად საჭიროებს რესტავრაციას, ეპოქის შესაბამისი დამატებების მიშენებას. ხერთვისში ასეთი სამუშაო ჩაუტარებია მეფეთა-მეფის მოლარეთუხუცესს, ვინმე ზაქარიას XIV საუკუნის შუა წლებში. აწ დაკარგული ამ წარწერის მიხედვით, ზაქარიას აქ აუგია კოშკი და გალავანი. მომდევნო საუკუნეებში ხერთვისის ციხის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან. იგი ჯაყელი ათაბაგების საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. სამცხეს შეფარებულმა გიორგი სააკაძემ ჯერ ყორჩიბაშის მიერ გამოგზავნილი დიდი ჯარი სასტიკად დაამარცხა ასპინძასთან, შემდეგ კი ხერთვისი და სხვა ციხეებიც აიღო. ქართველთა ხმლით დაბრუნებული ეს ციხეები საქართველოს კი არ შემოუმტკიცდა, არამედ ხონთქარს გადაეცა და იქ ფაშა იჯდა. დიდი ხნის განმავლობაში ხერთვისისა და საერთოდ, თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს დაბრუნების რეალური შესაძლებლობა არ დამდგარა. როცა ციხეების საქართველოსთვის დაბრუნების შანსი გაჩნდა, ქართულ ციხეებს თავისი ფუნქციები უკვე დაკარგული ჰქონდათ, – ამბობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან ხერთვისი ვარძიის მონასტერთან ერთად შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში, ამიტომაც ხერთვისის ციხეზე სარეაბილიტაციო სამუშაოები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ჩატარდეს.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 2. სიკეთით უკმაყოფილო ადამიანი; 3. ტურისტთა მეგზურის, გიდის სახელწოდება იტალიაში; 4. სადაზღვევო მოწმობა; 5. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 8. გამომშრალი, გამხმარი ყურძენი; 9. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. ტკივილის შეგრძნების დაკარგვა; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი; 19. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 20. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო.

**თარაზულად**: 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. ღვინის შესანახი თიხის ჭურჭელი; 10. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 11. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჯელესში; 14. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 15. პირველი კოსმონავტი; 18. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 21. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 22. საკონდიტრო ნაწარმი; 23. ვერცხლით დაფარული ლითონი; 24. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შამბრიერი; 2. დესპანი; 3. ტონიკი; 4. კობზა; 5. გლორია; 11. „კარტიე“; 12. ოფორტი; 14. ჯუთი; 16. რივიერა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. მასნე; 22. ტაქსა.

**თარაზულად:** 6. ვაპორეტო; 7. პრომილე; 8. „ზვარე“; 9. ტრიუმი; 10. კონკა; 13. ბრიჯი; 15. არმსტრონგი; 18. „სელტიკი“; 20. „ორლი“; 21. მიტენი; 23. ბარმაქსიზმი; 24. თოხანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პლანიცა; 2. „ამარეტო“; 3. დისკუსია; 4. სუმიდა; 5. ლაკმუსი; 8. პირუეტი; 9. „შერატონი“; 12. ანაკონდა; 13. „ლოკჰიდი“; 16. ბასტილია; 17. ბარტერი; 19. უშქარი; 20. კორიდა.

**თარაზულად:** 6. ალარმისტი; 7. შუცმანი; 8. პიკეტი; 10. „ზინგერი“; 11. ბუკე; 14. ოპონენტი; 15. სანთიობო; 18. ბარონი; 21. შედევრი; 22. ვოლვო; 23. იადონი; 24. ფანჯიკიძე.

# „გრძელი ნათელი დღეები“ „ოსკარზეა“ წარდგენილი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ამერიკის კინოაკადემიამ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს თხოვნით აგვისტოს დასაწყისში მიმართა 2013 წლის კანდიდატი ფილმის შესარჩევად. კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა კანდიდატი ფილმის ასარჩევად განაცხადების მისაღებად კონკურსიც გამოაცხადა. „ოსკარზე“ განიხილებოდა ფილმები, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 30 სექტემბრამდე 7 დღის ვადაში უწყვეტად გადიოდა და გავა კინოთეატრებში, აღნიშნულ ფილმს გააჩნდა ინდუსტრიაში მიღებული ფორმის რეკლამა, პრემიერამდე მისი ჩვენება არ განხორციელდა ტელევიზიით ან ინტერნეტით და, რაც მთავარია, შემოქმედებით ჯგუფს უმეტესად საქართველოს მოქალაქეები უნდა შეადგენდნენ.

თავიდანვე ითქვა, რომ „ოსკარის“ ნომინანტ ქართულ ფილმს 17-კაციანი კომპეტენტური ჟიური შეარჩევდა, კინოსურათი კი ამერიკაში 2013 წლის პირველ ოქტომბრამდე უნდა გაიგზავნოს. როგორც კინოცენტრში განმარტავენ, რამდენიმე ქართულ ფილმს წარმატების მიღწევის რეალური შანსი აქვს.

— განაცხადში ფილმის მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ფილმი აკმაყოფილებს ან დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და მას აქვს უფლება და სურვილი, წარმოადგინოს ფილმი განსახილველად. განაცხადს მწარმოებელმა უნდა დაურთოს ფილმის ასლი დივიდი/ბლურეი ან დისიპი-ზე, ინგლისურენოვანი სუბტიტრების თანხლებით. ბლურეი/დისიპი განმცხადებელს დაუბრუნდება ფილმების განხილვის შემდეგ. დივიდი ვერსია კი დარჩება კინოცენტრის არქივში. წარმოდგენილი ფილმის ვარიანტი, ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კინოთეატრში კომერციულად ნაჩვენებ ვარიანტს. განაცხადს უნდა ერთვოდეს ფილმზე მომუშავე პირების სია ინგლისურ ენაზე, კინოცენტრის/კინოაკადემიის შემოთავაზებულ ფორმატში. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 20 აგვისტო. რაც შეეხება სხვა პირობებს, იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ჯერ არ აკმაყოფილებს კომერციულ კინოთეატრში 7-დღიანი უწყვეტი კომერციული ჩვენების მოთხოვნას, აუცილებელია განმცხადებელმა დაადასტუროს, რომ 30 სექტემბრამდე ფილმი 7 დღის განმავლობაში უწყვეტად იქნება ნაჩვენები კომერციულ ეკრანზე და დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. კვალიფიციური ფილმების ჩვენება კომისიის წევრებისათვის გაიმართება სექტემბერში. კომისიის წევრების მიერ ერთი წარსადგენი ფილმი განხილვისა და კენჭისყრის შედეგად ამოირჩევა, — ასე გააცნო ეს სიახლე ქართველ საზოგადოებას ნანა ჯანელიძემ.

საბოლოოდ, 17-კაციანმა ჟიურიმ, რომელშიც კინოკრიტიკოსები, რეჟისორები და პროდიუსერები შედიოდნენ, მათ შორის მერაბ კოკოჩაშვილი, ლანა ღოღობერიძე, რუსუდან ჭყონია, ქეთი დოლიძე, ზაზა ურუშაძე, ზაზა რუსაძე, ნანა ჯანელიძე, გიორგი ოვაშვილი და სხვა ცნობილი რეჟისორები, ფარული კენჭისყრით გადაწყდა, რომ „ოსკარზე“ „გრძელი ნათელი დღეები“ გაიგზავნება.

როგორც ნანა ჯანელიძემ განმარტა, საქართველოდან კანდიდატი ფილმის წარდგენა არ ნიშნავს კინოაკადემიის საკონკურსო პროგრამაში ჩართვას. მხატვრული ფილმი მხოლოდ კანდიდატ ფილმადაა წარდგენილი და კინოაკადემიის ნომინაციაში მოსახვედრად კიდევ ერთი შერჩევა უნდა გაიაროს. „გრძელი ნათელი დღეები“, არჩევის შემთხვევაში, „საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის“ კატეგორიაში მოხვდება.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი არაერთი საერთაშორისო და საკმაოდ პრესტიჟული კინოფესტივალის გამარჯვებულია. ერთ-ერთი ბოლო გამარჯვება ფილმმა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა. ფილმის პრემიერა წლევანდელ „ბერლინალეზე“ შედგა და ეს წარდგინება სურათისთვის საკმაოდ ფეხბედნიერი აღმოჩნდა. მთლიანობაში ფილმმა 10-მდე საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა საპრიზო ადგილები. ფილმში მონაწილე ახალგაზრდა მსახიობებმა ლიკა ბაბლუანმა და მარიამ ბოკერიამ კი საუკეთესო მსახიობების წოდება მიიღეს.

ფილმის ქართველი რეჟისორი **ნანა ექვთიმიშვილი:**

— მიუხედავად არაერთი გამარჯვებისა, სარაევოს კინოფესტივალზე მიღწეული წარმატება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 90-იანი წლები ამ ქვეყნისთვის, ვგულისხმობ ბოსნია-ჰერცეგოვინას, იყო რთული. ბევრმა გვითხრა, რომ ეს არის პირველი ქართული ფილმი, რაც ნახეს. ბევრისგან გავიგეთ, რომ იგრძნეს ის, რაც თავიანთ ქვეყანაში იყო. გვითხრეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათაც იციან ის შეგრძნება, როცა რაღაც ხდება არცთუ ისე შორს, არა უშუალოდ იმ ქალაქში, იმ ადგილას, სადაც თვითონ ცხოვრობენ — ტყვიების ხმა იქნება, ომი თუ რაღაც უბედურება, ეს გრძნობა მათ ძალიან კარგად იციან. ზუსტად ეს იპოვეს ამ ისტორიაში და ისე მიიღეს, როგორც საკუთარი ისტორია, შემიძლია ვთქვა. ფილმის მოქმედება ხდება თბილისში 1992 წელს. 90-იანი წლების ისტორიული ფონი არის, მაგრამ ფოკუსი არის ორი გოგონას მეგობრობის ისტორიაზე, რა გავლენას ახდენენ ისინი ერთმანეთის ცხოვრებაზე. მე მგონი, საერთოდ ისტორია და წარსული არასოდეს კარგავს აქტუალობას, თუ იმას დაინახავ იქიდან, სადაც დგახარ და ჯანსაღად შეხედავ რაღაცებს. თუმცა ჩვენი მიზანი არ არის 90-იანი წლები. ჩვენ გვინდა, ადამიანებს ვაჩვენოთ, ამ ორი მეგობარი გოგონას ბედი როგორ წარიმართა იმ დროს. სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე მიღწეულ წარმატებებს სარაევოს კინოფესტივალიც მიემატა. მას შემდეგ, რაც ამ ფილმმა არაერთ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, ყველაზე დიდი მოლოდინი სწორედ თბილისურ პრემიერაზე გვაქვს.

„გრძელი ნათელი დღეების“ პრემიერა ბერლინის კინოფესტივალზე თებერვალში გაიმართა, თბილისური პრემიერა კი 19 სექტემბერსაა დაგეგმილი.

— ქართველ მაყურებელთან შეხვედრა ძალიან საპასუხისმგებლოა, რადგან არაფერია ზღაპარი. რასაც ჩვენ მოვყვებით, არის რეალობა, რაც ყველამ კარგად იცოდა მაშინ და არავისთვისაა უცხო, — ამბობს ფილმის რეჟისორი.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი პირველად ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში აჩვენეს. სურათმა საერთაშორისო კინოფესტივალებზე არაერთი წარმატება მოიპოვა. ფილმში მთავარ როლებს ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია ასრულებენ. „გრძელი ნათელი დღეები“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. კოპროდუქციის მხარეები გერმანიისა და საფრანგეთის სახელმწიფო კულტურული ფონდები და გერმანიის და საფრანგეთის ტელევიზიები არიან. ფილმი ორი გოგონას ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც 90-იანი წლების თბილისის ფონზე ვითარდება. ფილმზე ქართველ რეჟისორ ნანა ექვთიმიშვილსა და ბერლინელ სიმონ გროსთან ერთად ცნობილი რუმინელი ოპერატორი ოლეგ მუტუ მუშაობდა, რომლის ნამუშევრებს შორისაა ფილმები „გორაკებს მიღმა“, „4 თვე, 3 კვირა, 2 დღე“. ფილმის სცენარი ნანა ექვთიმიშვილს ეკუთვნის, მონტაჟი — შტეფან შტაბენოვს, პროდიუსერები — სიმონ გროსი, მარკ ვეხტერი, კოპროდუსერი — გიომ დე სეიე, მთავარ როლებში — ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია, როლებში — თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ლომიძე.

ერთობლივი ფილმი ორი თინეიჯერი გოგონას, ნათიასა და ეკას ცხოვრებას 90-იანი წლების ფონზე ასახავს. ფილმში გაცოცხლებულია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დღეები.

**ნანა ექვთიმიშვილი:**

— ასამდე სკოლა მოვიარეთ, სანამ ეკას როლის შემსრულებელს ვიპოვიდით, ნათია კი ქუჩაში შევნიშნეთ და მაშინვე გადაღებებზე მივიწვიეთ. კასტინგი მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის



მთავარი პერსონაჟები თოთხმეტი წლის გოგონები – ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩასა და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთის ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმდროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ, იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპითა და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ პირველად ცხოვრებაში ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება... ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგებიან ფილმის მთავარი გმირები და რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი.

კითხვაზე, თუ როგორ გაჩნდა ფილმის იდეა, რეჟისორი პასუხობს:

— თბილისში დავიბადე და გვიან 90-იან წლებში საქართველოდან გერმანიაში სასწავლებლად გავემგზავრე. სწავლის პერიოდშივე გამიჩნდა იდეა ფილმის შესახებ, რომელშიც ამბავი ორი თოთხმეტი წლის გოგონას შესახებ, 90-იანი წლების თბილისშია მოთხრობილი. იმ წლებში მეც ჩვენი გმირებივით ყოველდღე პურის რიგში ვიდექი, თუმცა ამას ტრაგედიად სულაც არ აღვიქვამდი. გერმანიაში ყოფნისას ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ დროზე, ჩემს მეგობრებზე... იმაზე, რაც ჩემს ცხოვრებაში და ჩემს სიახლოვეს მოხდა. ამ ყველაფერმა ფილმის სცენარამდე მიმიყვანა. 90-იანი წლები ძალიან დიდი თემაა, ჩვენი ისტორიაა, რომელიც ყველას შეეხო ძალიან მტკივნეულად, ადამიანებისა და თაობების ბედი შეცვალა. ფილმის ამბავი ჩემი მეხსიერებიდან, ჩემი მაშინდელი მოგონებებიდან და შეგრძნებებიდან წარმოიშვა. ჩვენი ფილმის მოქმედება 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ვითარდება. თავიდანვე ასე იყო, რომ ფილმის მოქმედება აუცილებლად გაზაფხულ-ზაფხულში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარმა საოცრად ზუსტად და სასტიკად ასახა ის დრო, ამ ფილმის იდეას ჩემთვის წელიწადის თბილი და მზიანი დრო უფრო ზუსტად ეხმაურება.

ფილმმა სლოვაკეთში საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე ორი პრიზი აიღო. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი 14 წლის ლიკა ბაბლუანს გადაეცა და ასევე პრიზი მიიღო სურათმა საუკეთესო რეჟისურისათვის, რომელიც ნანა ექვთიმიშვილსა და სიმონ გროსს მიენიჭათ.

ლიკა ბაბლუანთან დაკავშირებით კინოფესტივალის ჟიურიმ ასეთი განცხადება გააკეთა:

— ჩვენ ქედს ვიხრით დიდი ნიჭის მქონე ახალგაზრდა ტალანტების წინაშე, რომელთა ნიჭი უკვე ამ ადრეულ ასაკში ვლინდება და საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უნარებით, ინტუიციითა და გონებით.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის თანამშრომლობას კი ჟიური ასე ეხმაურება:

— ჟიური აჯილდოებს რეჟისორებს იმ უზარმაზარი თანამშრომლობისთვის, რომელიც საზრიანად აკავშირებს ერთმანეთთან ბრწყინვალე საოპერატორო ნამუშევარს, შესანიშნავ სამსახიობო შესრულებას, ხმის ელემენტებსა და ძლიერ ისტორიას, რომელიც ქმნის ამაღელვებელ საგას მოზარდების შესახებ და რომელიც ძალიან ძლიერ კინოსივრცეშია მოთხრობილი.

„გრძელი ნათელი დღეები“ მიწვეული იყო კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში „მრავალფეროვნების ათი ევროპელი რეჟისორი, რომელიც უნდა ნახო.“ ყოველ წელს ჩრდილოეთ ამერიკის ცნობილი კინოჟურნალი წლის საუკეთესო 10 ფილმს ირჩევს და კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოინდუსტრიის წარმომადგენლებსა და ფესტივალის მაყურებელს წარუდგენს. ამ ფილმებს შორის ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივი ნამუშევარი მოხვდა.

„გრძელი ნათელი დღეები“ ჩაერთო პარიზის კინოფესტივალში, სადაც საკონკურსო პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. ასევე ფილმი ნახეს ვოლოგდისა და ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალების საკონკურსო პროგრამაშიც.

წარმატებული აღმოჩნდა ფილმისთვის ვისბადენის ფესტივალიც, კინოფესტივალზე „გო ისტ“ „გრძელ ნათელ დღეებს“ მთავარი პრიზი და ფულადი ჯილდო 10.000 ევრო გადაეცა. ქართულ-გერმანული კოპროდუქციის წარმატებას ვისბადენში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კინოფესტივალზე წინ უძღოდა მნიშვნელოვანი გამარჯვებები ბერლინისა და ჰონგ კონგის ფესტივალებზე. ჰონგ კონგის 37-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართულ-გერმანულმა კოპროდუქციამ, რომელსაც ფესტივალზე „ქართული კინოს გაზაფხული“ უწოდეს, ახალგაზრდა კონკურსისა და ფიპრესის პრიზები მოიპოვა. ფილმის აზიური პრემიერა ახალგაზრდა კინოს კონკურსის ეგიდით შედგა. ამ კატეგორიაში წელს სულ 8 ფილმი იყო მოხვედრილი. ახალგაზრდა კინოს კონკურსის მთავარი და კინოკრიტიკოსების საერთაშორისო ფედერაციის პრიზებიც ამ 8 ფილმს შორის უნდა გადანაწილებულიყო.

რაც შეეხება წლევანდელ „ბერლინალეს“, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი „ბერლინალეს“ ფორუმის პრიზის მფლობელი გახდა. ნამუშევარი „არტ ჰაუს კინოს ინტერნაციონალური ფედერაციის“ ჟიურიმ დააჯილდოვა სექციებში „ფორუმი“ და „პანორამა“. „ბერლინალეს“ ფორუმი ავანგარდულ, ექსპერიმენტულ და უცნობ კინემატოგრაფს ეთმობა და მის ფარგლებში „გრძელი ნათელი დღეების“ ჩვენებებს პრესის ძალიან პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა.

„გრძელი ნათელი დღეების“ სადისტრიბუციო უფლებებს მთლიანად საერთაშორისო კომპანია „მემენტო ფილმს ინტერნეშენალი“ ფლობს და ის განსაზღვრავს როგორც ფილმის საფესტივალო ცხოვრებას, ისე საერთაშორისო გაყიდვების პოლიტიკას. ფილმი, რომელიც თბილისში 90-იანი წლების მძიმე ფონზე ორი თინეიჯერი გოგონას ცხოვრებას ასახავს, ეროვნული კინოცენტრის ცნობით, საფესტივალო ცხოვრებას მომავალშიც გააგრძელებს.

ეროვნულმა კინოცენტრმა ექსკლუზიურად გაავრცელა ინფორმაცია, რომ სარაევოს ფესტივალზე წარდგენის შემდეგ ეს ფილმი, რომელიც არის ქართული ამბავი მოზარდების შესახებ, შეირჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელების მიზნით ბრუკლინის „ბიგ უორლდ ფიქჩერზის“ მიერ.

— „ბიგ უორლდ ფიქჩერზი“ გეგმავს „გრძელი ნათელი დღეების“ დიდ ეკრანებზე ჩვენებას 2014 წლის დასაწყისში მას შემდეგ, რაც ის მოივლის ამერიკის შეერთებული შტატების ფესტივალებს. პარიზის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ პოპულარიზაცია გაუწია ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“, რომელმაც ასევე მოიგო საუკეთესო ქალი მსახიობის ნომინაცია ორი მთავარი ქალი გმირის — ლიკა ბაბლუანისა და მარიამ ბოკერიას სახით — სარაევოს მე-19 ფესტივალზე. ფილმმა „გრძელი ნათელი დღეები“ სილვერვეართან ერთად მოიპოვა ჯილდო „ბერლინალეს“ ფორუმზე ისევე, როგორც ფიპრესისა და გოლდენ ფაიერბიორდ ნოდს-ის აღიარება ჰონგ კონგში. სარაევოს ფესტივალზე წარდგენილი იყო დამწყები ქართველი კინორეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი, რომელმაც გერმანელ სიმონ გროსთან თანამშრომლობით გადაიღო ფილმი. ტალანტი, რომელმაც დატოვა კვალი და აძლევს გემოვნებიან მაყურებელს კიდევ ერთ საბაბს, იმსჯელოს იმის თაობაზე, რომ ევროპაში ახალი ტალანტების აღმოჩენის პროცესში საქართველოს შეიძლება ვუწოდოთ „ახალი რუმინეთი“, — აღნიშნულია ეროვნული კინოცენტრის ექსკლუზიურ ინფორმაციაში.

ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ მოგვითხრობს 1992 წლის საქართველოს დედაქალაქ თბილისზე — საბჭოთა კავშირის დაშლის მერე და საომარ სიტუაციაზე აფხაზეთში. ამას მოჰყვება ორი მოსწავლე გოგონას მეგობრობა — საშუალო ფენის ეკასა და კლასის ლამაზმან ნათიას შორის, რომელიც არის მუდმივად მეამბოხე მუშათა კლასის ოჯახიდან. ბავშვობასთან დამშვიდობებისთანავე ისინი უგულებელყოფენ დრომოჭმულ ტრადიციებს, ცდილობენ, მოშორდნენ თავიანთ ქაოტურ ოჯახურ ცხოვრებას და უპირისპირდებიან მამაკაცების დომინირებისა და ძალადობის არაერთ მაგალითს, რაც ფილმს ტრაგედიად აქცევს.

— ვინმე თუ დარჩა ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ მეტი არაფერი გააკვირვებთ საყმაწვილო ჟანრში — უნდა ნახოს ეს ფილმი, — ენთუზიაზმით თქვა „ბიგ უორლდ ფიქჩერზის“ წარმომადგენელმა ჯონათან ჰოუელმა.

მან ასევე თქვა:

— გარდა დროის ძლიერი გამოწვევისა და ადგილისა, რომელიც აქამდე არასდროს იყო დაფიქსირებული ფილმში, ამბავი არის სულისშემძვრელი თავიდან ბოლომდე და ორი მთავარი გმირი არის ნამდვილი აღმოჩენა, რომლებმაც გაითავისეს თავიანთი როლები საკმაოდ დამაჯერებელი თამაშით.

„გრძელი ნათელი დღეები“ კარგად მიიღეს ბერლინში. ვარიეტემ უწოდა მას „შთამბეჭდავი, გონივრულად შედგენილი საყმაწვილო ფილმი. მყიდველებს შორის „არტიფიციელ აიემ“ მოითხოვა უფლებები გაერთიანებულ სამეფოზე, პელესმა ავსტრალიაზე და იმეჯინმა — ბენელუქსზე.

ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში „გრძელი ნათელი დღეები“ მეორე ფილმია, რომელიც „ოსკარზეა“ წარდგენილი. პირველი ქართული ფილმი ნანა ჯორჯაძის „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი“ იყო. 10-წლიანი პაუზის შემდეგ ქართული ფილმი „ოსკარზე“ ბრუნდება და, მოხვდება თუ არა ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ნამუშევარი „საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის“ ნომინაციაში, იანვარში გაირკვევა.

## TV პროგრამა

**პარასკევი 6 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" **09.00** საბ./ფ "**განძთა კუნძული**" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**" **14.30** დ/ფ "რუკების სილამაზე" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.05** ფეხბურთი. მსოფლიოს **2014** წლის ჩემპიონატის შესარჩევი. **საქართველო–საფრანგეთი.** (პირდაპირი დინამო არენადან) **00.00** მხ/ფ "**კარზე ვინ მიკაკუნებს**"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ავსტრალია" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **4** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**ჰაზარდელი დიუკები**"

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **6** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**შევარდნის თვალი**" **4** სერ. **00.15** მხ/ფ. "**მეფე არტური** " (ტ. შვაიგერი)

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "FINAL FANTASY VII: Advent Chidren" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ლაზარეს თავგადასავალი**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** ეკივოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. "**დასასრული**" **00.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00** მხ/ფ

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მხ/ფ "**გაგიმარჯოს ყველას**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **09.05,18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ჟურნალისტის დღიური "-კარბელაშვილების კილო **11.05** "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი IV ნაწ. **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**გამოაღეთ ფანჯრები**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.35** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი - გიორგი ლაცაბიძე **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ "**ნეილონის ნაძვის ხე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკები" **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**წარსული ზაფხული**" **02.00** ირაო

**მაესტრო**

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.15, 16.00** სერ. "**ღრუბლებს მიღმა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **19.00 სერ.** "**1001 ღამე**" **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე **2.30** მაგთიფანი (გამ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6611 |
| ევრო | — 2,1898 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,5955 |
| 100 რუსული რუბლი | — 4,9636 |

## ამინდის პროგნოზი 6 სექტემბრისთვის





# მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


# ხერთვისის ციხის რეაბილიტაცია იწყება

ეკა ირემაშვილი



სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთის სოფელ ხერთვისში მდებარე შუასაუკუნეების ციხესიმაგრის, ხერთვისის ციხის რეაბილიტაცია იწყება. ადგილზე უკვე იმყოფებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი მერაბ ბოჭოიძე, რომელიც ძეგლზე არსებულ მდგომარეობას სპეციალისტებთან ერთად გაეცნო და ფოტოებზეც აღბეჭდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხერთვისის ციხე მერაბ ბოჭოიძის სადიპლომო ნაშრომის თემას წარმოადგენდა, ამიტომაც ამ ციხისადმი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს.

— ხერთვისის ციხე მაღალ კლდოვან მთაზე მდებარეობს. ის მოქმედი სიმაგრე იყო ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე. ხერთვისი ორი მდინარის შესართავთან მდებარეობს და მისი სახელწოდებაც ამას აღნიშნავს (ხ-ერთვის). მემატიანე ლეონტი მროველის ცნობით, რომელიც ზეპირ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს, ალექსანდრე მაკედონელს აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, საქართველოს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად ხერთვისიც უნახავს (ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის ვერსიას ისტორიული მეცნიერება არ იზიარებს). ხერთვისი მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარეობდა, ექვემდებარებოდა ფარავნისა და მტკვრის მიმდებარე რეგიონის დასახლებული პუნქტები. XVI საუკუნეში ხერთვისის ფეოდალური მფლობელები მონაცვლეობით იყვნენ ქამქამისძენი, ხერთვისარნი, ამატაკიანნი ან შალიკაშვილნი. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ექსპანსიის დროს, ჯავახეთის სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად, ოსმალებმა ხერთვისიც ჩაიბარეს. შემდგომში იგი ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ჟურნალი „ცისკარი“ 160 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ჟურნალი „ცისკარი“ წელს იუბილარია. მას დაარსებიდან 160 წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების 160 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომერი.

— პირველ ქართულ ბეჭდვით ჟურნალს 160 წელი შეუსრულდა! ჟურნალი „ცისკარი“ XIX საუკუნიდან მოყოლებული ემსახურებოდა ქართული მწერლობისა და პუბლიცისტიკის აღორძინებასა და განვითარებას, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას. „ცისკარი“ კვლავაც ცდილობს, წარმოაჩინოს ქართულ კულტურაში, მეცნიერებაში, მწერლობაში მიმდინარე პროცესები, — ამბობენ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში.




საიუბილეო ნომერში თავმოყრილია პროზა 1957 წლიდან დღემდე, ასევე ამონარიდები ჟურნალ „ცისკრის“ XIX საუკუნის ნომრებიდან, ფრაგმენტები გურამ დოჩანაშვილის ავტობიოგრაფიიდან, პოეზია, თარგმანები, დრამატურგია, წერილები და ესეები.

— ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“ გამოდიოდა 1852-1853 და 1857-1875 წლებში. „ცისკარს“ პირველ საგამომცემლო წლებში გიორგი ერისთავი ხელმძღვანელობდა. ჟურნალის მთავარი მიზანი იყო მხატვრული ლიტერატურის გზით ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება, საზოგადოების განათლებისა და მწერლობის ხელშეწყობა. „ცისკარმა“ ფართო საზოგადოებას გააცნო სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა თხზულებები, რომლებიც მანამდე ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა და მხოლოდ ერთეულებისთვის იყო ხელმისაწვდომი. პაუზის შემდეგ ჟურნალის გამოცემა განაახლა ივანე კერესელიძემ, რომელიც 19 წლის განმავლობაში უძღვებოდა მას. „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები. აქ იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის ნაწარმოებები, „მოლაყბის“ ფელეტონები და ანტონ ფურცელაძის წერილები. ჟურნალის ფურცლებზე გაიშალა თაობათა პაექრობა, რომელმაც დასაბამი მისცა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ეტაპს. განახლებულ „ცისკარს“ სათავეში ჩაუდგა ცნობილი მწერალი ვახტანგ ჭელიძე. სხვადასხვა დროს კი ჟურნალს რედაქტორობდნენ კოსტანტინე ლორთქიფანიძე, ხუტა ბერულავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ღვინჯილია, იორამ ქემერტელიძე, თეიმურაზ დოიაშვილი, დავით მაღრაძე. 1992 წლიდან დღემდე „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ზაურ კალანდიაა, — ამბობენ საიუბილეო ნომრის გამომცემლები.

# „გრძელი ნათელი დღეები“ „ოსკარზეა“ წარდგენილი

ეკა ირემაშვილი

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის გახმაურებული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და 17-კაციანი ჟიურის გადაწყვეტილებით, „ოსკარზე“ იქნება წარდგენილი.



როგორც ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე აცხადებს, ქართველი კინოკრიტიკოსებისა და კინემატოგრაფისტების მიერ შემდგარმა ჯგუფმა ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოებაზე წარსადგენად სწორედ ეს ფილმი შეარჩია.

კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში „ოსკარზე“ განაცხადი სამი ფილმის ავტორებმა წარადგინეს — „გრძელი ნათელი დღეები“ (რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი), „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (რეჟისორი თინათინ გურჩიანი) და „იბრძოლე“ (რეჟისორი გიორგი მეგრელიშვილი).

17-წევრიანმა კომისიამ ორი დღის განმავლობაში სამივე ფილმი ნახა, მათი შანსები განიხილა და ერთობლივი გადაწყვეტილებით გადაწყდა, რომ „ოსკარზე“ წარსადგენად უპირატესობა მიენიჭა ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“.

— ფილმს „ოსკარის“ დაჯილდოებამდე რამდენიმე ტურის გავლა მოუწევს, რათა სწორედ „ოსკარის“ ცერემონიალამდე გადაწყდეს, რომელ ნომინაციაში გავა ეს ფილმი. როგორც ცნობილია, ამერიკის კინოაკადემიის 86-ე დაჯილდოების ცერემონია ამერიკის შეერთებულ შტატებში 2 მარტს გაიმართება, — აღნიშნა ნანა ჯანელიძემ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# საფრანგეთის ნაკრები 25 ფეხბურთელით გვეწვია



დღეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო გუნდი თბილისში საფრანგეთის ნაკრებს მასპინძლობს. მატჩი „დინამო არენაზე“ გაიმართება და 22:15 წუთზე დაიწყება.

დიდიე დეშამმა თბილისში 25 ფეხბურთელი იახლა, რომლებიც მან საქართველოსა და ბელარუსთან მატჩებისთვის გამოიძახა. თუმცა, გამომგზავრებამდე დეშამს ერთი ცვლილების განხორციელება მოუხდა და ტრავმირებული ეტიენ კაპუს ნაცვლად, „ლიონის“ ნახევარმცველი, მაქსიმ გონალონი გამოიძახა.

ვის დააყენებს ქართველების წინააღმდეგ სათამაშოდ, ამას დეშამი დღეს გადაწყვეტს.

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: მიქაელ ლანდრო, უგო ლორისი, სტივ მანდანდა;

მცველები: ერიკ აბიდალი, გაელ კლიში, მეტიუ დებუში, პატრის ევრა, ლორენ კოსილნი, ელიაკიმ მანგალა, ადილ რამი, ბაკარი სანია;

ნახევარმცველები: მაქსიმ გონალონი, კლემენ გრენიე, იოსუა გილავოგი, ჯეფრი კონდოგბია, ბლაიზ მატუიდი, პოლ პოგბა, მუსა სისოკო;

თავდამსხმელები: კარიმ ბენზემა, ანდრე-პიერ ჟინიაკი, ოლივიე ჟირუ, სამირ ნასრი, დიმიტრი პაიე, ფრენკ რიბერი, მეტიუ ვალბუენა.

მ. ჟ.

# კროსვორდი



**შვეულად**: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 3. ფულის ერთეული ისრაელში; 4. ტროპიკული ხილი; 5. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 11. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 12. შეღამება, საღამოს ბინდის ძველი ქართული სახელწოდება; 14. დემონი არაბულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტალური ნაწილაკი; 17. ქალაქი იმერეთში; 19. შხამიანი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს ზოგი მცენარე, მიკროორგანიზმი; 21. ვაშლის ღვინო; 22. ფრანგი შანსონიე ქალი.

**თარაზულად**: 6. სათამაშო სახლი, კაზინო; 7. დაქანებული მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 8. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 9. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 10. ყველაზე ნელი მუსიკალური ტემპი; 13. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 15. ამერიკელი ზანგების სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერას სიტყვიერი ტექსტი; 20. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი თავსატეხი; 22. სისხლის წნევის აწევა; 24. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

6 სექტემბრისთვის

## ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — მოულოდნელი სიხარული გელოდებათ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემას აგვარებთ. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ლომი** — დამშვიდდით, თქვენ გაიმარჯვებთ! **ქალწული** — არ გარისკოთ, ჩვეულებრივ რიტმში განაგრძეთ ცხოვრება. **სასწორი** — ის საქმე მიიყვანეთ ბოლომდე, რომელიც წამოიწყეთ. **ღრიანკალი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, წარმატება უფრო ადვილად მოვა. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი